

## საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №314-№2-60

2006 წლის 10 აპრილი

ქ. თბილისი

### „სოფლის განვითარების პროექტის სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციების (RCG) დამტკიცების შესახებ“

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად და საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 13 ოქტომბერს რატიფიცირებული საქართველოს მთავრობასა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (IDA) შორის 2005 წლის 28 მაისს ხელმოწერილი „განვითარების საკრედიტო ხელშეკრულების“ პირველი მუხლის 1.02 თავის „ტ“ პუნქტისა და საქართველოს მთავრობასა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს (IFAD) შორის 2005 წლის 29 ივნისს ხელმოწერილი „პროექტის დაფინანსების ხელშეკრულების“ პირველი მუხლის 1.02 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის განხორციელების მიზნით, ვბრძანებთ:

1. დამტკიცდეს თანდართული „სოფლის განვითარების პროექტის სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციები (RCG)“.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

#### მ. სვიმონიშვილი

#### შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2008 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი ბრძანება №698-№2-140-სსმIII, №135, 12.09.2008წ.; მუხ.1342
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 5 ოქტომბრის ერთობლივი ბრძანება №664-№2-204-სსმIII, №121, 06.10.2009წ.; მუხ.1396
3. საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 26 აპრილის ერთობლივი ბრძანება №251- №2-64, ვებგვერდი, 27.04.2011 წ.
4. საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 11 აგვისტოს ერთობლივი ბრძანება №436 - №2-136, ვებგვერდი, 16.08.2011 წ.

სოფლის განვითარების პროექტი  
(საქართველოს მთავრობა, მსოფლიო ბანკი და  
სოფლის მეურნეობის განვითარების  
საერთაშორისო ფონდი)  
სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციები  
(RCG)

#### თავი I. ზოგადი დებულებები

##### მუხლი 1. შესავალი

1. სოფლის განვითარების პროექტის დაფინანსების მიზნით (შემდგომში – პროექტი) საქართველოს მთავრობამ (შემდგომში – მსესხებელი) ხელი მოაწერა 2005 წლის 28 მაისს განვითარების საკრედიტო ხელშეკრულებას საერთაშორისო განვითარების ასოციაციასთან

(შემდგომში IDA) და 2005 წლის 29 ივნისს პროექტის დაფინანსების ხელშეკრულებას სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან (შემდგომში IFAD).

2. პროექტის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს „სოფლად ფინანსური მომსახურება“. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში საკრედიტო ხაზისათვის გათვალისწინებული რესურსი შეადგენს დაახლოებით 16.2 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტს (საიდანაც IDA-ს ნაწილია 4.8 მლნ. SDR-ი – დაახლ. 8.2 მლნ. აშშ დოლარის ეკვივალენტი და IFAD-ის ნაწილია 4.7 მლნ. SDR-ი – დაახლ. 8.0 მლნ. აშშ დოლარის ეკვივალენტი), რომელიც გამიზნულია მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი კრედიტებით საინვესტიციო და საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს:

ა) საბანკო და არასაბანკო ფინანსური დაწესებულებები დამატებითი რესურსით სასოფლო-სამეურნეო სესხების გასაცემად;

ბ) საბანკო და არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების სასოფლო-სამეურნეო სექტორის დაკრედიტების უნარ-ჩვევების სრულყოფა, და ასევე სოფლად მომუშავე არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერება.

3. საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციასთან გაფორმებული განვითარების საკრედიტო ხელშეკრულებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან გაფორმებული პროექტის დაფინანსების ხელშეკრულების თანახმად, საკრედიტო ხაზი გაყოფილია ორ ქვეკომპონენტად, კერძოდ:

ა) **ქვეკომპონენტი ა** – საკრედიტო ხაზი კომერციული ბანკებისათვის, რომლის მეშვეობით დაფინანსებულ იქნება ქვემსესხებელთა ქვესესხები მეორად სესხზე ხელშეკრულებით და აღნიშნული სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციებით გათვალისწინებული ვადებითა და პირობებით;

ბ) **ქვეკომპონენტი ბ** – საკრედიტო ხაზი არასაბანკო ფინანსური დაწესებულებებისათვის, რომლის მეშვეობით დაფინანსებულ იქნება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებულ კლიენტებზე გასაცემი მცირე და მიკრო სესხები მეორად სესხზე ხელშეკრულებით და აღნიშნული სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციებით გათვალისწინებული ვადებითა და პირობებით.

**4. თავდაპირველად ა ქვეკომპონენტზე გამოყოფილია US\$ 10.4 მილ. ეკვივალენტი (საკრედიტო ხაზის 64.2%), ხოლო ბ ქვეკომპონენტზე – US\$ 5.8 მილ. ეკვივალენტი (საკრედიტო ხაზის 35.8%).** აღნიშნული რესურსის საწყისი განაწილება ა და ბ ქვეკომპონენტებს შორის არსებული მოთხოვნილების საფუძველზე შესაძლოა გადაისინჯოს პროექტის განხორციელების პერიოდში.

5. წინამდებარე ინსტრუქციები არეგულირებს საკრედიტო ხაზიდან სახსრების გაცემას საბანკო დაწესებულებებზე საქართველოსა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს (IFAD ) შორის 2005 წლის 29 ივნისს ხელმოწერილი „ხელშეკრულება პროექტის დაფინანსების შესახებ“ ხელშეკრულების დანართი ერთის „ბ“ კომპონენტის 1-ლი პუნქტის და არასაბანკო საფინანსო დაწესებულებებზე ამავე ხელშეკრულების დანართი ერთის „ბ“ კომპონენტის მე-2 პუნქტის ფარგლებში, კერძოდ:

ა) კრედიტის გაცემის ვადებსა და პირობებს;

ბ) პროექტში მონაწილეობის კრიტერიუმებს;

გ) კრედიტის ათვისებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

6. ამოღებულია.

7. ფინანსთა სამინისტრო, მსესხებლის სახელით, განახორციელებს საკრედიტო ხაზიდან რესურსის გადასესხებას პროექტის საბოლოო ბენეფიციარებისთვის უფლებამოსილი ფინანსური დაწესებულებების მეშვეობით, რაც განხორციელდება ფინანსთა სამინისტროსა და შესაბამის ფინანსურ დაწესებულებებს შორის მეორად სესხზე გაფორმებული ხელშეკრულების ვადებისა და პირობების თანახმად.

8. სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციები მონაწილე ფინანსურ დაწესებულებებსა და პროექტის განხორციელებაში ჩართულ ყველა სხვა მონაწილეს უზრუნველყოფს აუცილებელი ინფორმაციით, IDA-სა და IFAD-ის მიერ დაფინანსებული საკრედიტო ხაზიდან გამოყოფილი

ფინანსური რესურსების განკარგვის შესაბამის საოპერაციო პროცედურებზე, წესებსა და დებულებებზე, აგრეთვე დამატებითი თანადაფინანსების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფილ იქნება საქართველოს მთავრობის მიერ. კომპონენტის ფარგლებში არსებული ფინანსური რესურსების გამოყენება უნდა განხორციელდეს ზემოაღნიშნული სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციების შესაბამისად.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2008 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი ბრძანება №698-№2-140-სსმIII, №135, 12.09.2008წ.; მუხ.1342*

## **მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები**

1. სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციების უკეთესად გაცნობის მიზნით, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „უფლების დათმობის ხელშეკრულება“ ნიშნავს ფინანსთა სამინისტროსა და პროექტში მონაწილე ფინანსურ დაწესებულებას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლითაც მონაწილე ფინანსური დაწესებულება ფინანსთა სამინისტროს გადასცემს ყველა ქვესესხის ხელშეკრულებაში, ქვესესხში, და ყველა უზრუნველყოფაზე საკუთარ უფლებას და თანხობრივ ინტერესს;

ბ) „საკრედიტო ხაზი“ ნიშნავს საერთაშორისო განვითარების ასოციაციისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის კრედიტის ნაწილს, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულია პროექტში მონაწილე ფინანსურ დაწესებულებებზე საკრედიტო ხაზის სახით პროექტის „სოფლად ფინანსური მომსახურეობის“ კომპონენტის განხორციელების მიზნით;

გ) „განვითარების საკრედიტო ხელშეკრულება“ ან DCA ნიშნავს სოფლის განვითარების პროექტის დაფინანსების მიზნით საქართველოს მთავრობასა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის 2005 წლის 28 მაისს გაფორმებულ ხელშეკრულებას;

დ) „ქვესესხის თავისუფალი ლიმიტი“ ნიშნავს კომერციული ბანკების მიერ ქვეპროექტის დაფინანსებისათვის გაცემულ ქვესესხის თანხას 300,000 აშშ დოლარამდე ოდენობით ან მის ეკვივალენტურ თანხას საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. ქვესესხები ამ ლიმიტის ფარგლებში არ მოითხოვს მსოფლიო ბანკის წინასწარი განხილვის და დამტკიცების პროცედურებს; „ქვესესხის თავისუფალი ლიმიტის“ ფარგლებში კომერციულ ბანკს აქვს სრული ავტონომია ნებადართული ინვესტიციებისათვის ქვესესხების დამტკიცებაში;

ე) „შელავათიანი პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს, რომლის დროსაც არ ხდება მეორადი სესხის ან ქვესესხის ძირითადი თანხის გადახდა. სტანდარტული საპროცენტო სარგებელის გადახდა შელავათიანი პერიოდის დროს ხორციელდება ჩვეულებრივ;

ვ) „საპროცენტო განაკვეთი“ ნიშნავს პროცენტებში გამოხატულ წლიურ განაკვეთს, რომლის გადახდა ხდება მეორად სესხზე ან ქვესესხზე;

ზ) „საინვესტიციო სესხი“ ნიშნავს გრძელვადიან (ორ წელზე მეტ) ქვესესხს, რომლითაც გათვალისწინებულია ქონების, მოწყობილობის, და სხვა კაპიტალური აქტივების შეძენა, ან სხვა საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსება;

თ) „LIBOR“ ნიშნავს ლონდონის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე შემოთავაზებულ საპროცენტო განაკვეთს აშშ დოლარის 6-თვიან დეპოზიტებზე, გაანგარიშებული როგორც ნახევარი წლის საშუალო საპროცენტო განაკვეთი 6-თვიან ლიბორზე;

ი) „პროექტის დაფინანსების ხელშეკრულება“ ან „PFA“ ნიშნავს სოფლის განვითარების პროექტის დაფინანსების მიზნით საქართველოს მთავრობასა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს შორის 2005 წლის 29 ივნისს გაფორმებულ ხელშეკრულებას;

კ) „ფინანსთა სამინისტრო“ ნიშნავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს;

ლ) „ეროვნული ბანკი“ ნიშნავს საქართველოს ეროვნული ბანკს;

მ) „აქტივების დატვირთვაზე უარის თქმის ვალდებულება“ ნიშნავს ქონების გაუსხვისებლობის და არ დატვირთვის სახელშეკრულებო ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც მონაწილე ფინანსურ დაწესებულებას არა აქვს უფლება დატვირთოს რომელიმე თავისი აქტივი ახალი კრედიტორის სასარგებლოდ, და ამით უპირატესობა მიანიჭოს აღნიშნულ კრედიტორს არსებულ კრედიტორებთან

შედარებით. აღნიშნული სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული საქმიანობებისათვის, „აქტივების დატვირთვაზე უარის თქმის ვალდებულების“ ხელშეკრულება ნიშნავს იმ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია მონაწილე კომერციულ ბანკსა და საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებებსა ან სხვა „AA“-ს (ან ზევით) რეიტინგის მქონე (რომელიც მინიჭებულია წამყვანი სარეიტინგო სააგენტოების „Standard&Poor’s“, „Moody“-ის და „Fitch“-ის მიერ) ფინანსურ დაწესებულებებს შორის;

ბ) „მონაწილე კომერციული ბანკი“ ნიშნავს კომერციულ ბანკს, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებისა და დებულებების შესაბამისად, და რომელიც აკმაყოფილებს და შემდგომში დააკმაყოფილებს „სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციების“ მუხლი 4-ით გათვალისწინებულ პროექტში მონაწილეობის კრიტერიუმებს;

ბ<sup>1</sup>) „არასაბანკო ფინანსური დაწესებულება“ – ამ ბრძანების მიზნებისათვის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია და ფუნქციონირებს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და შერჩეულ იქნება პროექტის ფარგლებში ქვესესხების გასაცემად წინამდებარე ინსტრუქციებში გათვალისწინებული კრიტერიუმებისა და პროცედურების შესაბამისად;

ო) „მონაწილე ფინანსური დაწესებულება“ ნიშნავს მონაწილე კომერციულ ბანკს და არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებას, რომლებიც შერჩეულია სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციებით დადგენილი კრიტერიუმებისა და პროცედურების მიხედვით, პროექტის „სოფლად ფინანსური მომსახურების“ კომპონენტის „ა“ ქვეკომპონენტისა და „ბ“ ქვეკომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული ქვესესხების დაფინანსების მიზნით;

პ) „პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC)“ ნიშნავს სსიპ – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრს, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის №149 ბრძანებულების საფუძველზე, სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელების მიზნით, ან პროექტის განსახორციელებლად შექმნილი ნებისმიერი მისი სამართალმემკვიდრე;

ჟ) პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი (PIU)“ ნიშნავს პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს, რომელიც შექმნილია „პროექტების საკოორდინაციო ცენტრის/ PCC“ ფარგლებში და პასუხისმგებელია პროექტის ოპერატიულ (პროგრამულ) მართვაზე;

რ) „ძირითადი თანხა“ ნიშნავს მეორადი სესხის ან ქვესესხის ნომინალურ თანხას, რომელზეც ირიცხება საპროცენტო სარგებელი;

ს) „მონაწილე ფინანსური დაწესებულების საბრუნავი ანგარიში“ ნიშნავს მონაწილე ფინანსური დაწესებულების მიერ წარმოებულ დამატებით ანგარიშს, რომელზეც აისახება ქვეპროექტების მიერ გადახდილი ქვესესხების ძირითადი თანხები თარიღების მიხედვით, და აღნიშნული თანხების გამოყენება;

ს.ა) სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციების მიხედვით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის დამატებითი ქვესესხების დასაფინანსებლად; და

ს.ბ) მონაწილე ფინანსური დაწესებულების მიერ მეორადი სესხის დასაფარავად;

ტ) „პროექტის საბრუნავი ფონდის ანგარიში“ ნიშნავს მსესხებლის სახელით PCC-ს მიერ გახსნილ ანგარიშს, სადაც განხორციელდება პროექტში მონაწილე ფინანსური დაწესებულებების მიერ მეორადი სესხების დაბრუნებული ძირითადი თანხების აკუმულირება. „პროექტის საბრუნავი ფონდის ანგარიშზე“ აკუმულირებული თანხები გამოყენებულ უნდა იქნეს მეორადი სესხების გასაცემად სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციების პროცედურების“ თანახმად; „პროექტის საბრუნავი ფონდის ანგარიში“ იქნება აქტიური ათი წლის განმავლობაში, რის შემდეგ მონაწილე ფინანსური დაწესებულების მიერ დაბრუნებული ყველა თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში;

უ) „სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციები“ – ნიშნავს წინამდებარე წესებისა და დებულებების კრებულს, პირველიდან მე-10 დანართის ჩათვლით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით და მისაღებია განვითარების საერთაშორისო ასოციაციისთვის და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისათვის და გამოიყენება ფინანსური რესურსების მართვისათვის, როგორც განსაზღვრულია „განვითარების საკრედიტო ხელშეკრულების“ დანართი ოთხის დამატებაში;

ფ) „ქვემსესხებელი ან მომხმარებელი (ბენეფიციარი)“ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც უკვე დასაქმებულია ან მომავალში აპირებს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის დაწყებას და ვისთვისაც მონაწილე ფინანსურ დაწესებულებას განზრახული აქვს გასცეს ან გაცემული აქვს ქვემსესხი პროექტის „ა“ და „ბ“ ქვეკომპონენტების ფარგლებში;

ქ) „ქვემსესხის ხელშეკრულება“ ნიშნავს მონაწილე ფინანსურ დაწესებულებასა და ბენეფიციარებს შორის ქვეპროექტების დაფინანსების მიზნით გაფორმებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას;

ღ) „ქვემსესხი“ ნიშნავს სესხს, რომელიც გაიცა ან განზრახულია გაიცეს პროექტში მონაწილე ფინანსური დაწესებულების მიერ ქვემსესხებელზე, მეორად სესხზე ხელშეკრულების მიხედვით და სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციების შესაბამისად, ქვეპროექტის განსახორციელებლად აუცილებელი ხარჯების სრული ან ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით;

ყ) „ქვეპროექტი“ ნიშნავს სპეციფიურ პროექტს ან ინვესტიციას, რომელიც ქვემსესხებელმა უნდა განახორციელოს ქვემსესხის თანხების გამოყენების საშუალებით;

შ) „მეორად სესხზე ხელშეკრულება“ ნიშნავს ნებისმიერ ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმებულია ფინანსთა სამინისტროსა, მსესხებელის სახელით, და მონაწილე ფინანსურ დაწესებულებას შორის, პროექტის „ა“ და „ბ“ ქვეკომპონენტების განხორციელების მიზნით;

ჩ) „მეორადი სესხი“ ნიშნავს მონაწილე ფინანსური დაწესებულების მიერ მეორად სესხზე ხელშეკრულების ვადებისა და პირობების თანახმად აღებულ ჯამურ ძირითად თანხას აშშ დოლარებში, რომელიც ექვემდებარება დროთა განმავლობაში გადახდას;

ც) „US\$“ ანუ „აშშ დოლარი“ ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ ვალუტას;

*საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2008 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი ბრძანება №698-№2-140-სსმIII, №135, 12.09.2008წ.; მუხ.1342*

*საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 5 ოქტომბრის ერთობლივი ბრძანება №664-№2-204-სსმIII, №121, 06.10.2009წ.; მუხ.1396*

### **მუხლი 3. პროექტში მონაწილე კომერციული ბანკის შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები**

1. „მონაწილე ფინანსური დაწესებულების“ სტატუსის მოსაპოვებლად, კომერციულმა ბანკმა უნდა გაიაროს მსოფლიო ბანკის შესარჩევი პროცედურა („due diligence“ პროცესი), და თუ იგი მისაღებია, როგორც „მონაწილე ფინანსური დაწესებულება“, მუდმივად უნდა აკმაყოფილებდეს II თავით დადგენილ ფინანსურ და მენეჯმენტის კრიტერიუმებს და ფინანსთა სამინისტროსთან უნდა გააფორმოს „მეორად სესხზე ხელშეკრულება“ და „უფლების დათმობის ხელშეკრულება“ იმ შემთხვევაში, თუ კომერციულ ბანკს არ გააჩნია „აქტივების დატვირთვაზე უარის თქმის ვალდებულება“.

2. პროექტში მონაწილეობაზე თხოვნის წარდგენის შემდეგ კონკრეტული მონაწილე კომერციული ბანკი ინდივიდუალურად იქნება შესწავლილი საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისა (IFAD) და მსესხებლის მიერ PCC/ PIU-ს მეშვეობით. შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კომერციული ბანკის საერთო დაკრედიტების შესაძლებლობებს, ფინანსური მდგომარეობის და სასესხო პორტფელის ხარისხს. პროექტში მონაწილეობის მისაღებად მონაწილე კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი ფინანსური და მართვის სტრუქტურა,

რისკთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელი კაპიტალის ადეკვატურობა, მისაღები აქტივების ხარისხი და სასესხო პორტფელის მაჩვენებელი, ადეკვატური ლიკვიდურობა, ორგანიზაციული შესაძლებლობები, მენეჯმენტი, ტექნიკური პერსონალი და სხვა აუცილებელი რესურსები შესაბამისი ოპერაციების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად. იგივე სტანდარტები გამოიყენება პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) მიერ, საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციით, პროექტში მონაწილე კომერციული ბანკის მონიტორინგის დროს.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2008 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი ბრძანება №698-№2-140-სსმIII, №135, 12.09.2008წ.; მუხ.1342*

### **მუხლი 3<sup>1</sup>. პროექტში მონაწილე არასაბანკო ფინანსური დაწესებულების შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები**

ინტერესის გამოხატვის მოთხოვნის შესაბამისად, მონაწილე არასაბანკო ფინანსური დაწესებულებები ინდივიდუალურად გაივლიან შემოწმებას მიკროფინანსების სპეციალისტის მიერ, რომელიც შერჩეულია მსოფლიო ბანკის მიერ და აკმაყოფილებს მის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს. შემოწმებისას ყურადღება მიექცევა მათ საერთო დაკრედიტების შესაძლებლობებს, ისევე როგორც ფინანსური მდგომარეობის და სასესხო პორტფელის ხარისხს. იმისათვის, რომ არასაბანკო ფინანსური დაწესებულება შერჩეულ იქნეს პროექტში მონაწილეობის მისაღებად, მას უნდა ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი ფინანსური და მართვის სტრუქტურა, მისაღები აქტივების ხარისხი და დაკრედიტების დინამიკა, ადეკვატური ლიკვიდურობა, ასევე საქმიანობის ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელი მმართველი და ტექნიკური შტატი და სხვა საჭირო რესურსები. იგივე სტანდარტები გამოიყენება პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) მიერ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან კონსულტაციით, პროექტში მონაწილე არასაბანკო ფინანსური დაწესებულების მონიტორინგის დროს.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2008 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი ბრძანება №698-№2-140-სსმIII, №135, 12.09.2008წ.; მუხ.1342*

## **თავი II. კომერციული ბანკები**

### **მუხლი 4. მონაწილეობის კრიტერიუმები**

პროექტში მონაწილეობის მისაღებად კომერციული ბანკი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ, და არა მხოლოდ, კრიტერიუმებს, კერძოდ:

#### **ა) ძირითადი კრიტერიუმები:**

ა.ა) დაწესებულება იურიდიულად უნდა იყოს რეგისტრირებული კომერციული ბანკის სახით და მისი საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ საბანკო კანონმდებლობას და საქართველოს ეროვნულ ბანკს არ უნდა ჰქონდეს დაწესებული არანაირი შეზღუდვა ბანკის ნებისმიერ საბანკო საქმიანობის სახეობაზე;

ა.ბ) კომერციულ ბანკს უნდა გააჩნდეს სათანადო მფლობელობა და კომპეტენტური და სრულყოფილი მენეჯმენტი, კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი დამფუძნებლებისა და ადმინისტრატორების მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების სრული დაკმაყოფილების ჩათვლით;

ა.გ) კომერციულმა ბანკმა უნდა აწარმოოს მისი ფინანსური უწყისების წლიური აუდიტი, განვითარების საერთაშორისო ასოციაციისათვის და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისათვის მისაღები, საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი გარე აუდიტორული კომპანიის მიერ, აუდიტი ჩატარებულ უნდა იქნეს საერთაშორისო აუდიტორული სტანდარტებისა (ISA) და საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების (IAS) შესაბამისად. ამასთანავე, აუდიტორებს წინა 2 წლის განმავლობაში არ უნდა ჰქონდეთ შემოწმებულ ფინანსურ უწყისებთან დაკავშირებით რაიმე მნიშვნელოვანი შენიშვნა.

#### **ბ) ფინანსური კრიტერიუმები:**

ბ. ა) კომერციულ ბანკს არ უნდა ჰქონდეს რაიმე დავალიანება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა რომელიმე სესხზე ან ნებისმიერ სხვა მოზიდულ ვალზე შიდა, კომერციული ან განვითარების საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისაგან, და/ან სესხის რესტრუქტურირაცია გამოწვეული ბანკის ნეგატიური ფინანსური მდგომარეობით;

ბ. ბ) წინა და მიმდინარე ფინანსურ წლებში უნდა გააჩნდეს დადებითი წმინდა მოგება, რაც ასახული იქნება ISA-სა და IAS-ის მიხედვით აუდიტის მიერ შემოწმებულ ფინანსურ უწყისებში;

ბ. გ) კაპიტალზე ამონაგების კოეფიციენტის ბოლო სამი ფისკალური წლის გასაშუალოებული მაჩვენებელი უნდა აღემატებოდეს ქვეყნის მიმდინარე საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელს;

ბ. დ) კომერციული ბანკი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ სავალდებულო მოთხოვნებს და ცხრილი 1-ში მოცემულ ნორმატივებს, რომლებიც დროდადრო ექვემდებარება გადასინჯვას. აღნიშნული სავალდებულო ნორმატივების დარღვევის შემთხვევაში მონაწილე კომერციული ბანკის მიმართ სანქციების განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის შეხედულებები.

**ცხრილი N1: საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი**

სავალდებულო ნორმატივები და მოთხოვნები:<sup>1</sup>

კოეფიციენტი	ნორმა
საზედამხედველო კაპიტალი <sup>2</sup>	>= 7.8 მილ. ლარი
პირველადი კაპიტალი/ რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან	>=8%
მთლიანი (საზედამხედველო) კაპიტალი/ რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან	>=12%
ერთ ინსაიდერზე გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა/საზედამხედველო კაპიტალთან	<=5%
ყველა ინსაიდერზე გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა/ საზედამხედველო კაპიტალთან	<=25%
ერთ აუტსაიდერის გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა/ საზედამხედველო კაპიტალთან	<=15%
ურთიერთდამაკავშირებელ პირებზე გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა / საზედამხედველო კაპიტალთან	<=25%
უდიდესი სესხების საერთო ოდენობა/ საზედამხედველო კაპიტალთან	<=200%
არაუზრუნველყოფილი (საბლანკო) სესხების საერთო ოდენობა /სასესხო პორტფელთან	<=25%
ლიკვიდური აქტივები/საერთო ვალდებულებებზე (მყისიერი ლიკვიდურობა)	>=30%
ლიკვიდური აქტივები (საშუალო თვიური)/ საერთო ვალდებულებებთან (საშუალო თვიური)	>=30%
მიმდინარე აქტივები/ მიმდინარე ვალდებულებებთან	>=90%
ინვესტიციები იურიდიულ პირთა საწესდებო კაპიტალში/ საზედამხედველო კაპიტალთან	<=50%
ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება+ბანკის ინვესტიციები იურიდიულ პირთა საწესდებო კაპიტალში საზედამხედველო კაპიტალთან	<=70%
საერთო ღია სავალუტო პოზიცია/ მთლიან აქტივებთან	<=20%

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაძლებელია დროდადრო აღნიშნულ ნორმატივებში და სხვა მოთხოვნებში ცვლილებების და დამატებების შეტანა;

<sup>2</sup> მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა 2008 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 12 მილიონ ლარს, რაც გულისხმობს ყოველწლიურად მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის 1.4 მლნ. ლარით ზრდას.

**გ) მენეჯმენტის კრიტერიუმები:**

გ.ა) კომერციულ ბანკს უნდა ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია ბანკის საერთო პოლიტიკის განსაზღვრაზე და საბანკო ოპერაციების შესაბამისი ზედამხედველობის წარმოებაზე;

გ.ბ) ბანკს შემუშავებული უნდა ჰქონდეს დასაბუთებული ბიზნეს-გეგმა და შესაბამისი, კარგად დასაბუთებული ბიუჯეტის შედგენის და ბიუჯეტის მაკონტროლირებელი პროცედურები;

გ.გ) ბანკს უნდა გააჩნდეს კარგად დასაბუთებული საკრედიტო პოლიტიკა და პროცედურები;

გ.ე) ბანკს უნდა გააჩნდეს კარგად დასაბუთებული შიდა კონტროლისა და აუდიტის პროცედურები, რაც დამოწმებული იქნება გარე აუდიტორების მიერ;

გ.დ) ბანკი არ უნდა აღმოჩნდეს დაუსაბუთებელი საპროცენტო ან სავალუტო გაცვლითი კურსის რისკის წინაშე, რაც დადასტურებული იქნება წლიური აუდიტორულ ფინანსურ უწყისებში;

გ.ე) ბანკს უნდა გააჩნდეს შიდა ანგარიშგების და მართვის საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საკმარისი ინფორმაციის მიწოდებას ბანკის ოპერაციების, ეფექტური საქმიანობისა და რისკების მართვისათვის;

გ.ვ) ბანკს უნდა გააჩნდეს აუცილებელი პერსონალი, ცოდნა, ფიზიკური და სხვა რესურსები, რათა განახორციელოს თავისი ბიზნეს-გეგმა და მართოს თავისი ოპერაციები;

გ.ზ) უნდა გააჩნდეს სათანადო სასესხო პორტფელის მონიტორინგის/ ანგარიშგების და ინფორმაციული სისტემები.

**დ) სხვა კრიტერიუმები:**

დ.ა) ბანკს უნდა გააჩნდეს აუცილებელი პერსონალი, ცოდნა, ფიზიკური და სხვა რესურსები, რათა განახორციელოს პროექტის საკრედიტო ხაზის მართვა; ან უნდა გააჩნდეს ნათელი გეგმა გააძლიეროს თავისი პოტენციალის ეს ელემენტები, და გამოყოს შესაბამისი პერსონალი პროექტის ფარგლებში ქვესესხების ოპერაციათა კოორდინაციისა და საერთო მონიტორინგის საწარმოებლად;

დ.ბ) ბანკს უნდა გააჩნდეს სათანადო უნარი გარემოზე ზემოქმედების ანალიზის და გარემოს მონიტორინგის საწარმოებლად ან სათანადო გეგმა აღნიშნული შესაძლებლობის დანერგვაზე;

დ.გ) ბანკი თანახმა უნდა იყოს მიაწოდოს პროექტის განხორციელებელ ჯგუფს სტანდარტული ფორმით და სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციების მოთხოვნების შესაბამისად, პერიოდული ინფორმაცია პროექტის განხორციელების შესახებ.

ე) პროექტში დაშვება. ყოველ კომერციულ ბანკს, რომელიც დააკმაყოფილებს პროექტში მონაწილეობისთვის დადგენილ ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს, გაეგზავნება ამ ფაქტის ოფიციალური დამადასტურებელი წერილი, რის შემდგომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ხელმოწერილი იქნება „მეორად სესხზე ხელშეკრულება“.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 26 აპრილის ერთობლივი ბრძანება №251- №2-64, ვებგვერდი, 27.04.2011 წ.*

**მუხლი 5. მეორად სესხზე ხელშეკრულების ძირითადი ვადები და პირობები**

1. მეორადი სესხის ძირითადი თანხის გადახდა მონაწილე კომერციულ ბანკს დაეკისრება აშშ დოლარში და გაუტოლდება მონაწილე კომერციული ბანკის მიერ საკრედიტო ხაზიდან გახარჯულ საერთო თანხას, ამ მუხლის მე-11 პუნქტში მოცემული ინსტრუქციების თანახმად.

2. მონაწილე კომერციული ბანკისათვის აშშ დოლარებში გამოხატული მეორადი სესხის ძირითადი თანხის დაფარვის ვადა შეადგენს 10 (ათი) წელს. მეორადი სესხის ძირითადი თანხის დაფარვა განხორციელდება თანაბარი გადახდებით, დაწყებული მე-4 წლის ბოლოდან შემდგომი 6 წლის განმავლობაში. მეორადი სესხის დაფარვა განხორციელდება მიღებული თანხის მთლიანი ოდენობით, სესხის კლებად ნაშთზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად.

3. მეორადი სესხის გამოტანილ თუ დაუბრუნებელ ძირითად თანხაზე პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ცვალებადი (მცოცავი) საპროცენტო განაკვეთის მიხედვით შემდეგის საფუძველზე:

მეორადი სესხის აშშ დოლარში დენომინირებული საპროცენტო სარგებლის გადახდა მოხდება მცოცავი განაკვეთის მიხედვით, რომელიც დაკორექტირდება 6 თვეში ერთხელ 6-თვიანი LIBOR-ის მიხედვით, რასაც დაემატება 2.0 % (ორი საპროცენტო პუნქტი). აშშ დოლარში დენომინირებული მეორადი სესხზე საპროცენტო განაკვეთი დაკორექტირდება 6 თვეში ერთხელ 1 თებერვალს და 1 აგვისტოს შესაბამისი რეტროაქტიული ნახევარწლიანი პერიოდის (6-თვიანი LIBOR-ის მიხედვით) საშუალო მაჩვენებლის საფუძველზე. თებერვლის კორექტირებისთვის ივლის-დეკემბრის რეტროაქტიული ნახევარწლიანი პერიოდი (6-თვიანი LIBOR-ის მიხედვით) უნდა იყოს გამოყენებული. აგვისტოს კორექტირებისთვის კი 6-თვიანი LIBOR-ის მიხედვით იანვარ-ივნისის საშუალო რეტროაქტიული ნახევარწლიანი პერიოდი უნდა იყოს გამოყენებული.

4. საპროცენტო სარგებელი:

ა) დარიცხული იქნება საპროცენტო პერიოდის პირველი დღიდან და მოიცავს პირველ დღეს, მაგრამ მასში არ შევა აღნიშნული პერიოდის ბოლო დღე (ანუ 1 აგვისტო – 31 იანვარი და 1 თებერვალი – 31 ივლისი);

ბ) გაანგარიშებულ იქნება ფაქტობრივად გასული დღეების მიხედვით 365-დღიან წელიწადზე.

5. პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC)/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი (PIU) დაუყოვნებლივ აცნობებს მონაწილე კომერციულ ბანკს საპროცენტო სარგებლის კორექტირების შესახებ, მაგრამ არა უგვიანეს 15 დღისა საპროცენტო სარგებლის კორექტირებამდე.

6. პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ ყველა ქვესესხთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს მონაწილე კომერციული ბანკი სრულად იღებს თავის თავზე.

7. მეორადი სესხის მაქსიმალური მოცულობა მონაწილე კომერციული ბანკებისათვის. ნებისმიერი მონაწილე კომერციული ბანკისთვის მეორად სესხზე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან პირველი ექვსი თვის განმავლობაში საკრედიტო ხაზის საწყისი ლიმიტის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1.0 მილიონ აშშ დოლარის ეკვივალენტს. პირველი ექვსი თვის შემდეგ მონაწილე კომერციული ბანკის მიერ საწყისი თანხის არასრულად გამოყენების შემთხვევაში, გამოუყენებელი თანხა ხელმისაწვდომი იქნება მონაწილე კომერციული ბანკებისათვის.

8. თითოეული მონაწილე კომერციული ბანკის მიერ ათვისებული მეორადი სესხის მაქსიმალური კუმულატიური თანხა არ უნდა აღემატებოდეს მონაწილე კომერციული ბანკის სახედამხედველო კაპიტალის 25%-ს. იმ პირობების გათვალისწინებით, რომ მონაწილე კომერციულ ბანკში განთავსებულ მსოფლიო ბანკის პროექტებთან ან თანადაფინანსების პროექტებთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის ფონდების მაქსიმალური ნაერთი ჯამი (ნაშთი) არ უნდა აღემატებოდეს მონაწილე კომერციული ბანკის საერთო ვალდებულებების (სააქციო კაპიტალის გამოკლებით) 25%-ს და სააქციო კაპიტალის 100%-ს.

9. პროექტის რესურსის ბრუნვა. ქვემსესხებლების მიერ მონაწილე კომერციული ბანკისათვის გადახდილი ქვესესხების დასაფარავად ძირითადი თანხების ნებისმიერი ოდენობა, რომელიც დაუყოვნებლივ არ ექვემდებარება გადახდას ფინანსთა სამინისტროსათვის მეორადი სესხის დაფარვის მიზნით, მონაწილე კომერციული ბანკის მიერ აღირიცხება ცალკე საბრუნავ ანგარიშზე ფულადი სახსრების სახით. აღნიშნულ საბრუნავ ანგარიშზე აკუმულირებული სახსრები მონაწილე კომერციული ბანკის მიერ გამოყენებული უნდა იყოს იმ დამატებითი ქვეპროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც გამიზნულია პროექტის წინაშე დასახული ამოცანების მისაღწევად და აკმაყოფილებს მეორად სესხზე ხელშეკრულებასა და სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციებით განსაზღვრულ ვადებს, პირობებსა და მონაწილეობის კრიტერიუმებს. ამასთანავე, მონაწილე კომერციული ბანკის საბრუნავ ანგარიშზე აკუმულირებული ნაშთი არ უნდა აღემატებოდეს მონაწილე კომერციული ბანკის მიერ პროექტის ფარგლებში გაცემული ქვესესხების საშუალო თანხის ოდენობასა და 250,000 აშშ დოლარს შორის უმცირესს. თუ მონაწილე კომერციული ბანკის საბრუნავ ანგარიშზე რიცხული ნაშთი აღემატება ზემოაღნიშნულ თანხას და არ გამოიყენება

კომერციული ბანკის მიერ ექვსი თვის განმავლობაში, კომერციული ბანკი ვალდებულია საბრუნავ ანგარიშზე რიცხული მეორადი სესხის გამოუყენებელი თანხის ნაშთი სრულად გადარიცხოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გახსნილ პროექტის საბრუნავი ფონდის ანგარიშზე ექვსთვიანი პერიოდის გასვლიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში. პროექტის საბრუნავი ფონდის ანგარიშზე აკუმულირებული თანხები კვლავ გამოიყენება პროექტში უფლებამოსილი მონაწილე კომერციული ბანკებისათვის მეორადი სესხების დასაფინანსებლად. მონაწილე კომერციული ბანკების მიერ საბრუნავი ანგარიშის გამოყენების სტატუსი შემოწმდება პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ ყოველი თვის ბოლოს.

10. მონაწილე კომერციული ბანკების თანადაფინანსება. მონაწილე კომერციულ ბანკს მოეთხოვება ქვეპროექტის საერთო ღირებულების არანაკლებ 10%-ით თანადაფინანსება საკუთარი სახსრებიდან პროექტის განხორციელების პირველი 12 თვის განმავლობაში და არანაკლებ 20%-ით – პროექტის განხორციელების მეორე წლის განმავლობაში და შემდგომ.

11. მსესხებლის მიერ თითოეულ მონაწილე კომერციულ ბანკზე გაცემული საკრედიტო ხაზის სახსრების საერთო მოცულობის მინიმუმ 90% უნდა გამოიყენებოდეს საინვესტიციო საქმიანობების დასაფინანსებლად, ხოლო მაქსიმუმ 10% კი – საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

12. მეორად სესხზე განაცხადები და საკრედიტო ხაზიდან თანხების გახარჯვა. პერიოდულად, როგორც ეს დადგენილია სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციებში, განსაზღვრულია მეორად სესხზე ხელშეკრულებაში და შეთანხმებულია მონაწილე კომერციულ ბანკსა და პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს შორის, მონაწილე კომერციულმა ბანკმა უნდა მოამზადოს განაცხადი საკრედიტო ხაზიდან თანხების გახარჯვაზე. აღნიშნულ განაცხადთან ერთად აუცილებელია შემდეგი პროცედურების გატარება და ინფორმაციის მიწოდება:

ა) ყოველ ქვესესხზე უნდა მომზადდეს ცალკე განაცხადი კრედიტის გამოყოფის თაობაზე;

ბ) კრედიტის გამოყოფის თაობაზე პირველად განაცხადს თან უნდა ახლდეს ქვეპროექტის შესახებ ინფორმაციული ცხრილები (დანართი 1-ის მიხედვით), სადაც მითითებული იქნება ქვემსესხებლის დასახელება და მისამართი, ქვემსესხებლის საქმიანობის სფერო, მოთხოვნილი სესხის ოდენობა, სესხის გამოყენება, წინადადების საერთო ღირებულება და დაფინანსების მეთოდი (მონაწილე კომერციული ბანკის და ქვემსესხებლის თანამონაწილეობისა და ნებისმიერი გრანტის სახსრების გამოყენების მითითებით), პროექტის განხორციელების პერიოდი, სესხის შეფასების ანგარიშის ასლი თანდართული შესაბამისი ფინანსური გათვლებით და პროგნოზებით, ქვესესხის პირობები (გადახდის პერიოდი, შეღავათიანი პერიოდი, საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოების მითითებით), და ქვეპროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციების მიხედვით;

გ) კრედიტის გამოყოფის თაობაზე განაცხადისა და თანმხლები დოკუმენტაციის მიღებისას, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ დაუყონებლივ შემოწმებულ უნდა იქნეს განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია, თუ რამდენად შეესაბამება იგი პროექტის სახელმძღვანელოს;

დ) იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი განაცხადი აკმაყოფილებს სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციების მოთხოვნებს, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი წერილობითი ფორმით შეატყობინებს მონაწილე კომერციულ ბანკს განაცხადის დამტკიცების შესახებ და უზრუნველყოფს საკრედიტო ხაზის ანგარიშიდან დასაშვები ფონდების 100%-ის გადარიცხვას მონაწილე კომერციული ბანკის ანგარიშზე.

13. ანგარიშსწორების ანგარიშები. მონაწილე კომერციულ ბანკს გახსნილი უნდა ჰქონდეს ცალკე ანგარიში საკრედიტო ხაზიდან მიღებული მეორადი სესხისათვის და აგრეთვე ცალკეული ქვესესხების ანგარიშები მეორად სესხზე ხელშეკრულების ფარგლებში დაფინანსებული თითოეული ქვეპროექტისათვის.

14. ყოველი მონაწილე კომერციული ბანკი პროექტების საკოორდინაციო ცენტრთან (PCC)/პროექტის განმახორციელებელ ჯგუფთან (PIU) სამუშაოდ და შესაბამისი ტრანზაქციების საწარმოებლად დანიშნავს უფლებამოსილ წარმომადგენელს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2008 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი ბრძანება №698-№2-140-სსმIII, №135, 12.09.2008წ.; მუხ.1342

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 26 აპრილის ერთობლივი ბრძანება №251- №2-64, ვებგვერდი, 27.04.2011 წ.

## თავი II<sup>1</sup>. არასაბანკო ფინანსური დაწესებულებები

### მუხლი 5<sup>1</sup>. არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების პროექტში მონაწილეობის კრიტერიუმები და სტანდარტები

პროექტში მონაწილეობის მისაღებად არასაბანკო ფინანსური დაწესებულებები ყოველთვის უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებსა და სტანდარტებს, კერძოდ:

#### ა) ზოგადი კრიტერიუმები:

ა.ა) არასაბანკო ფინანსური დაწესებულება რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ა.ბ) მისი ფინანსური ანგარიშგება უნდა გადიოდეს ყოველწლიურ აუდიტორულ შემოწმებას აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად პროექტების საკოორდინაციო ცენტრისათვის (PCC)/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფისათვის (PIU) მისაღები აუდიტორების მიერ და არ უნდა ჰქონდეს არსებითი შენიშვნა აუდიტორების მიერ მინიმუმ წინა ერთი წლის განმავლობაში. დამოუკიდებელი აუდიტორი აუნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: უნდა იყოს სათანადოდ შექმნილი და კარგი რეპუტაციის მქონე, აუცილებელია ფინანსური დაწესებულების აუდიტორული შემოწმების გამოცდილების არსებობა, იყენებდეს ზოგადად მისაღები აუდიტორული სტანდარტების ანუ საერთაშორისო აუდიტორული სტანდარტების შესაბამის პროცედურებსა და მეთოდებს, უნდა ჰქონდეს ხარისხის გარანტირების სათანადო მექანიზმები და ჰყავდეს სათანადო პროფესიული კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აუდიტორები;

ა.გ) უნდა ჰქონდეს აშკარად გამოხატული ვალდებულება, რომ ემსახუროს მათ, ვისაც ნაკლებად მიუწვდება ხელი საბანკო-საკრედიტო მომსახურებაზე, როგორც ეს მის წესდებასა და ბიზნეს გეგმაშია მოცემული და როგორც ეს მის საქმიანობაში ხორციელდება;

ა.დ) ჰყავდეს საჭირო შტატი, გააჩნდეს სათანადო ცოდნა, ფიზიკური და სხვა რესურსები სიცოცხლისუნარიანი მუშაობისა და დადგენილი მიზნების დასაკმაყოფილებლად;

ა.ე) ჰქონდეს მინიმუმ 3 წლის მუშაობის გამოცდილება და მისი საერთო აქტივები უნდა უდრიდეს მინიმუმ 1,000,000 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

#### ბ) ფინანსური კრიტერიუმები:

ბ.ა) ყოველთვის აკმაყოფილებდეს აქტივების ხარისხის იმ მაჩვენებლებს, რომლებიც დამოუკიდებლად არის ჩამოყალიბებული CGAP სახელმძღვა-ნელოში. კერძოდ:

ბ.ა.ა) ჰქონდეს 30, 60 და 90 დღით ვადაგადაცილებული სესხების და შეცვლილი გრაფიკის მქონე სესხების კლასიფიკაციის სისტემა;

ბ.ა.ბ) ჰქონდეს სესხების რისკის ქვეშ მოქცეული პორტფელი 3%-ზე ნაკლები იმ სესხებისათვის, რომლებიც ვადაგადაცილებულია 30 დღეზე მეტით (ანუ ყველა სესხის გადაუხდელი ძირითადი თანხა ერთი ან ორი გადახდით 30 დღის დაგვიანებით, რომელიც დაყოფილია ბრუტო სასესხო პორტფელის მიხედვით);

ბ.ა.გ.) აწარმოებდეს სესხის დანაკარგების სარეზერვო ფონდს, რომელიც შეესაბამება გაანგარიშებულ სამომავლო დანაკარგებს და ახორციელებდეს თანხების ჩამოწერას საერთაშორისო სანიმუშო პრაქტიკის ან საქართველოს ეროვნული ბანკის დებულებების შესაბამისად, მათი გამოქვეყნების შემთხვევაში.

ბ.ბ) გააჩნდეს სესხის დაფარვის მიმდინარე კოეფიციენტი, რომელიც 95%-ს აღემატება მეორად სესხზე ხელშეკრულების გაფორმების მომენტში და მის შემდეგ;

ბ.ბ.ა) ჰქონდეს დადებითი წმინდა მოგება მიმდინარე და წინა ორი წლის განმავლობაში გარე აუდიტის მიერ დადასტურებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე და CGAP სახელმძღვანელოს შესაბამისად;

ბ.ბ.ბ) ჰქონდეს დადებითი ამონაგები იმ აქტივებზე, რომლებიც დაკორექტირდა ინფლაციისა და გრანტების მიხედვით და გადაანგარიშდა CGAP სახელმძღვა-ნელოს მიხედვით;

ბ.ბ.გ) არ ჰქონდეს დავალიანებები და შეუსრულებელი ვალდებულებები ნებისმიერ სესხზე ან სხვა სახის კრედიტზე, რომელიც აღებულია ნებისმიერი შიდა თუ საერთაშორისო კომერციული ან განვითარების დაწესებულებიდან და/ან არ ჰქონდეს მიმდინარე სესხის რესტრუქტურირაცია, რომელიც გამოწვეულია უარყოფითი ფინანსური სიტუაციით;

ბ.ბ.დ) წლიური აუდიტორულად შემოწმებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, არ ჰქონდეს საპროცენტო განაკვეთის მაღალი რისკი და ფლობდეს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკის მართვის რაციონალურ მექანიზმებს.

გ) მართვის სტანდარტები:

გ.ა) ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია არასაბანკო ფინანსური დაწესებულების საერთო სტრატეგიის განსაზღვრაზე და მისი მუშაობის სათანადო ზედამხედველობის უზრუნველყოფაზე, იკრიბება რეგულარულად და აწარმოებს ყველა შეხვედრის და გადაწყვეტილების შესაბამის ოქმს;

გ.ბ) ჰქონდეს საფუძვლიანი ბიზნეს-გეგმა და სათანადო, კარგად დოკუმენტირებული ბიუჯეტი და ბიუჯეტის კონტროლის პროცედურები;

გ.გ) ჰქონდეს საფუძვლიანი, კარგად დოკუმენტირებული სესხების გაცემის პოლიტიკა და პროცედურები;

გ.დ) ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი, კარგად დოკუმენტირებული შიდა კონტროლისა და აუდიტის პროცედურები, რომლებიც დამოწმებულია გარე აუდიტორის მიერ;

გ.ე) ჰქონდეს კარგად დოკუმენტირებული შიდა ანგარიშგებისა და მართვის საინფორმაციო სისტემა, რომელსაც შეუძლია საკმარისი ინფორმაციის მიწოდება, რაც აუცილებელია დაწესებულების საქმიანობის, სამუშაოთა მიმდინარეობისა და რისკების მართვისათვის, რაც ასევე მოიცავს მინიმუმ ყოველთვიურ ინფორმაციას საერთო სასესხო პორტფელზე და პორტფელის კლასიფიკაციაზე.

დ) სხვა სტანდარტები:

დ.ა) ჰქონდეს სოფლის მეურნეობის, აგროგადამუშავების ან აგრობიზნესთან დაკავშირებული სხვა საქმიანობისთვის სესხების გაცემის მინიმუმ 1-წლიანი წარმატებული გამოცდილება და გეგმავდეს აღნიშნული საქმიანობის გაფართოებას თავისი ფართო სტრატეგიული მიზნების შესაბამისად;

დ.ბ) რეგიონებში ჰქონდეს მომსახურების ფილიალების ადეკვატური ქსელი ან უახლოეს მომავალში აპირებდეს გაფართოებას რეგიონებში;

დ.გ) ჰყავდეს საჭირო შტატი, ჰქონდეს სათანადო ცოდნა, ფიზიკური და სხვა რესურსები, რაც საჭიროა პროექტით გათვალისწინებული საკრედიტო ხაზის განსახორციელებლად ან მომზადებული ჰქონდეს სამომავლო გეგმა აღნიშნული სტანდარტების გასაძლიერებლად და, გარდა ამისა, გამოყოფილი ჰყავდეს თანამშრომლები ქვესესხის ოპერაციების კოორდინაციისა და მონიტორინგისთვის.

ე) პროექტში დაშვება. ყოველ არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებას, რომელიც დააკმაყოფილებს პროექტში მონაწილეობისათვის დადგენილ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, პროექტების საკოორდინაციო ცენტრის მიერ გაეგზავნება ამ ფაქტის ოფიციალური დამადასტურებელი წერილი, რის შემდგომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ხელმოწერილი იქნება მეორად სესხზე ხელშეკრულება.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2008 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი ბრძანება №698-№2-140-სსმIII, №135, 12.09.2008წ.; მუხ.1342*

## **მუხლი 5<sup>2</sup>. მეორად სესხზე ხელშეკრულების ძირითადი პირობები**

1. მეორადი სესხის ძირითადი თანხა, რომელიც უნდა დაფაროს არასაბანკო ფინანსურმა დაწესებულებამ იქნება მის მიერ ათვისებული თანხის საერთო ოდენობის ეკვივალენტი აშშ დოლარში, ლარში ან ევროში (საჭიროების მიხედვით) ანუ საკრედიტო ხაზის შესაბამის ვალუტაში სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციების შესაბამისად.

2. მეორადი სესხის თითოეული გადარიცხვის ძირითადი თანხის დაფარვა არასაბანკო ფინანსური დაწესებულების მიერ განხორციელდება 10 წლის განმავლობაში თანაბარი, 6-თვიანი შენატანებით 2-წლიანი საშელავათო პერიოდის შემდეგ. გადახდა განხორციელდება მიღებული მთლიანი ოდენობის სესხის კლებად ნაშთზე დარიცხულ საპროცენტო განაკვეთთან ერთად.

3. მეორადი სესხის გამოტანილ თუ დაუბრუნებელ ძირითად თანხაზე პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ცვალებადი (მცოცავი) საპროცენტო განაკვეთის მიხედვით შემდეგის საფუძველზე:

ა) მეორადი სესხის აშშ დოლარებში ან ევროებში დენომინირებული საპროცენტო სარგებლის გადახდა მოხდება მცოცავი განაკვეთის მიხედვით, რომელიც კორექტირდება 6 თვეში ერთხელ 6-თვიანი LIBOR-ის მიხედვით, რასაც დაემატება 2.0% (ორი საპროცენტო პუნქტი). აშშ დოლარსა და ევროებში დენომინირებული მეორად სესხზე საპროცენტო განაკვეთი უნდა დაკორექტირდეს 6 თვეში ერთხელ 1 თებერვალს და 1 აგვისტოს შესაბამისი რეტროაქტიური ნახევარწლიანი პერიოდის (6-თვიანი LIBOR-ის მიხედვით) საშუალო მაჩვენებლის საფუძველზე. თებერვლის კორექტირებისთვის ივლის-დეკემბრის რეტროაქტიური ნახევარწლიანი პერიოდი (6-თვიანი LIBOR-ის მიხედვით) უნდა იყოს გამოყენებული. აგვისტოს კორექტირებისთვის კი – 6-თვიანი LIBOR-ის მიხედვით იანვარ-ივნისის საშუალო რეტროაქტიური ნახევარწლიანი პერიოდი უნდა იყოს გამოყენებული.

ბ) ლარებში დაფიქსირებულ მეორად სესხზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა განხორციელდება მცოცავი განაკვეთით, რომელიც კორექტირებულ იქნება 6 თვეში ერთხელ შიდა ინფლაციის საფუძველზე, რასაც დაემატება 2.5%. ლარებში დაფიქსირებული მეორადი სესხების საპროცენტო სარგებელი კორექტირებულ იქნება 6 თვეში ერთხელ 1 თებერვალს და 1 აგვისტოს ფაქტობრივი და დაგეგმილი ინფლაციის მიხედვით, მაგ., თებერვლის კორექტირებისთვის ეს იქნება წინა წლის ივლის-დეკემბრის საშუალო ფაქტობრივი წლიური ინფლაციის ნახევარს დამატებული მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის გეგმის ნახევარი, და აგვისტოს კორექტირებისთვის კი – მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის საშუალო ფაქტობრივ წლიურ ინფლაციის ნახევარს დამატებული ივნის-დეკემბრის დაგეგმილი ინფლაციის ნახევარი.

### **4. საპროცენტო სარგებელი:**

ა) დარიცხული იქნება საპროცენტო პერიოდის პირველი დღიდან და მოიცავს პირველ დღეს, მაგრამ მასში არ შევა აღნიშნული პერიოდის ბოლო დღე (ანუ 1 აგვისტო – 31 იანვარი და 1 თებერვალი – 31 ივლისი) და

ბ) გაანგარიშებულ იქნება ფაქტობრივად გასული დღეების მიხედვით 365-დღიან წელიწადზე.

5. პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC)/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი (PIU) დაუყოვნებლივ აცნობებს არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებას საპროცენტო სარგებლის კორექტირების შესახებ, მაგრამ არა უგვიანეს 15 დღისა საპროცენტო სარგებლის კორექტირებამდე.

6. არასაბანკო ფინანსური დაწესებულება მეორადი სესხის პროცენტს გადაუხდის ფინანსთა სამინისტროს 6 თვეში ერთხელ, 1 თებერვალს და 1 აგვისტოს.

7. პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ ქვესესხებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს არასაბანკო ფინანსური დაწესებულება სრულად აიღებს საკუთარ თავზე.

8. მეორადი სესხის ათვისებული და დაუბრუნებელი სახსრების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს არასაბანკო ფინანსური დაწესებულების წმინდა კაპიტალის 70%-ს.

9. პროექტის ფარგლებში გახსნილ ქვესესხის ანგარიშზე ქვემსესხებლის მიერ გადახდილი ძირითადი თანხის ნებისმიერი ოდენობა, რომელიც დაუყოვნებლივ არ ექვემდებარება გადახდას ფინანსთა სამინისტროსთვის მეორადი სესხის დაფარვის მიზნით, არასაბანკო ფინანსური

დაწესებულების მიერ აღირიცხება ცალკე საბრუნავ ანგარიშებზე (ცალკე ანგარიში თითოეული ვალუტისთვის) ფულადი სახსრების სახით. აღნიშნულ საბრუნავ ანგარიშზე აკუმულირებული სახსრები არასაბანკო ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს დამატებითი ქვეპროექტების დასაფინანსებლად და აკმაყოფილებდეს მეორად სესხზე ხელშეკრულებასა და სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციებით განსაზღვრულ ვადებს, პირობებსა და მონაწილეობის კრიტერიუმებს. თუ არასაბანკო ფინანსურ დაწესებულების საბრუნავ ანგარიშზე არსებული ნაშთი 50,000 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას აღემატება და არ გამოიყენება მომდევნო 8 თვის განმავლობაში, არასაბანკო ფინანსური დაწესებულება ვალდებულია საბრუნავ ანგარიშზე რიცხული მეორადი სესხის გამოუყენებელი თანხის ნაშთი სრულად გადარიცხოს პროექტის საბრუნავი ფონდის ანგარიშზე 8-თვიანი პერიოდის გასვლიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში. პროექტის საბრუნავი ფონდის ანგარიშზე აკუმულირებული თანხები კვლავ გამოიყენება პროექტში უფლებამოსილი დაწესებულებებისთვის მეორადი სესხების დასაფინანსებლად. არასაბანკო ფინანსურ დაწესებულების მიერ საბრუნავი ანგარიშის გამოყენების მდგომარეობა შემოწმდება პროექტების საკოორდინაციო ცენტრის (PCC)/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) მიერ ყოველი კვარტალის ბოლოს.

10. არასაბანკო ფინანსური დაწესებულება პერიოდულად მოამზადებს განაცხადს თანხის მოთხოვნაზე, რაც გახდება საფუძველი საკრედიტო ხაზიდან სახსრების ათვისებისა. ამ დროს გამოიყენება შემდეგი პროცედურები და ინფორმაცია:

ა) სასესხო ტრანშის გადარიცხვა არასაბანკო ფინანსური დაწესებულებისთვის. ფინანსთა სამინისტროსა და არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებას შორის მეორადი სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ არასაბანკო ფინანსური დაწესებულება პროექტების საკოორდინაციო ცენტრს (PCC)/პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს (PIU) მორიგი ტრანშის მისაღებად წარუდგენს გადარიცხვის განაცხადს და სასესხო დაბანდებების საპროგნოზო მონაცემებს რეგიონების მიხედვით, სესხების სავარაუდო რაოდენობის, მიზნობრიობისა და სავარაუდო ჯამური სასესხო თანხების მითითებით დანართ №10-ში მოცემული ფორმის მიხედვით. ყოველი მონაწილე არასაბანკო ფინანსური დაწესებულებისათვის პირველი ტრანშის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 300 000 აშშ დოლარს, ხოლო ყოველი მომდევნო ტრანშის მოცულობა კი – 500 000 აშშ დოლარს. ასევე, თითოეული ტრანშის ათვისების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 კალენდარულ თვეს ტრანშის მიღებიდან. პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC) /პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი (PIU) სასესხო დაბანდებების საპროგნოზო მონაცემების სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციების კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ თანხას გადაურიცხავს არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებას;

ბ) ყოველი ტრანშის გადარიცხვის შემდეგ არასაბანკო ფინანსური დაწესებულება მოამზადებს ხარჯების უწყისს დანართში №6 მოცემული ფორმის მიხედვით, სადაც დასაბუთებული იქნება წინა გადარიცხვით მიღებული სახსრების გამოყენება ახალი სახსრებით შევსების მიღებამდე;

გ) პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი (PIU) განიხილავს მოთხოვნებს გადარიცხვის შესახებ მათ შესაბამისობაზე ქვეპროექტების მონაწილეობის კრიტერიუმებთან და დამტკიცებს/გადარიცხავს ან უარყოფს მათ სამი სამუშაო დღის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში (PIU)/(PCC) მოითხოვს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას. პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC)/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი (PIU) წერილობით აცნობებს არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებას მისი განაცხადის დამტკიცების ან უარყოფის შესახებ.

11. არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებას გასხნილი უნდა ჰქონდეს ცალკე ანგარიში საკრედიტო ხაზიდან მიღებული მეორადი სესხისთვის და აგრეთვე ცალკეული ქვესესხების ანგარიშები – მეორად სესხზე ხელშეკრულების ფარგლებში დაფინანსებული თითოეული ქვეპროექტისთვის.

12. თითოეული არასაბანკო ფინანსური დაწესებულება (PCC)/(PIU)-სთან სამუშაოდ და შესაბამისი ტრანზაქციების საწარმოებლად დანიშნავს შესაბამის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2008 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი ბრძანება №698-№2-140-სსმIII, №135, 12.09.2008წ.; მუხ.1342

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 5 ოქტომბრის ერთობლივი ბრძანება №664-№2-204-სსმIII, №121, 06.10.2009წ.; მუხ.1396

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 26 აპრილის ერთობლივი ბრძანება №251- №2-64, ვებგვერდი, 27.04.2011 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 11 აგვისტოს ერთობლივი ბრძანება №436 - №2-136, ვებგვერდი, 16.08.2011 წ.

### **თავი III. პროექტში მონაწილეობის კრიტერიუმები, ქვესესხების დამტკიცების პროცედურები, ძირითადი ვადები და პირობები.**

#### **მუხლი 6. საკრედიტო ხაზი კომერციულ ბანკებზე.**

1. კომერციული ბანკები საინვესტიციო და საბრუნავი კაპიტალით უზრუნველყოფენ მცირე და საშუალო მოცულობის სამეწარმეო ორგანიზაციებსა და კერძო ბიზნესებს, რომლებიც დაკავებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით, გადამამუშავებითა და მარკეტინგით.

2. ქვესესხის მაქსიმალური თანხა. ნებისმიერ მსესხებელზე გაცემული ცალკეული სესხის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500,000 აშშ დოლარს, საიდანაც არა უმეტეს 10%-ისა უნდა მოხმარდეს საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებას. ამასთანავე, ცალკეულ ქვემსესხებელზე გაცემული ქვესესხის მაქსიმალური ნაზარდი (კუმულატიური) ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 750,000 აშშ დოლარის ეკვივალენტს და ასევე არ უნდა აჭარბებდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ერთ მსესხებელზე დაწესებულ ლიმიტებს.

3. ქვესესხის თავისუფალი ლიმიტი და მსოფლიო ბანკის წინასწარი განხილვა და თანხმობა:

ა) კომერციული ბანკების მიერ გაცემული პირველი სამი ქვესესხი, მათი მოცულობის მიუხედავად, ექვემდებარება მსოფლიო ბანკის მიერ წინასწარი განხილვისა და დამტკიცების პროცედურას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მონაწილე კომერციული ბანკის მიერ პროექტის ყველა პროცედურის და კრიტერიუმების გაცნობიერება და დაცვა. პირველი სამი ქვესესხისათვის, რომლის დაფინანსება კომერციულ ბანკს მიაჩნია მიზანშეწონილად, განმცხადებლის სასესხო განაცხადის ასლი, ბიზნეს-გეგმა, ბანკის მიერ სესხის შეფასების ყველა დეტალი და სასესხო წინადადება წარედგინება მსოფლიო ბანკის მხრიდან პროექტის ხელმძღვანელს;

ბ) ამასთანავე, შემდგომი ყველა ქვესესხი, რომელიც აღემატება 300,000 აშშ დოლარს ან მის ეკვივალენტს, აგრეთვე დაექვემდებარება მსოფლიო ბანკის პროექტის ხელმძღვანელის მხრიდან წინასწარ განხილვასა და თანხმობას, რაც ასევე შეეხება ნებისმიერ იმ ქვესესხებს, სადაც ნაზარდი (კუმულატიური) ჯამი აღემატება 500,000 აშშ დოლარს;

გ) შემდგომი ყველა ქვესესხი, რომელიც არ აღემატება 300,000 აშშ დოლარს, ან მის ეკვივალენტს, არ დაექვემდებარება მსოფლიო ბანკის მხრიდან წინასწარი განხილვის ან თანხმობის პროცედურებს;

დ) მსოფლიო ბანკის ქვესესხების განხილვასა და დაფინანსებაზე თანხმობის მისაღებად კრიტერიუმები წარმოდგენილია მე-3 დანართში.

4. ქვესესხების ვადები და პირობები – მონაწილე კომერციულ ბანკებს უფლებამოსილება ენიჭებათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ ქვესესხებზე ვადები და პირობები, არსებულ საბაზრო პირობებზე და საუკეთესო კომერციულ პრაქტიკაზე დაყრდნობით. კომერციული ბანკის მიერ ქვემსესხებლისათვის თავიდანვე მიწოდებულ უნდა იქნეს სრული და ზუსტი ინფორმაცია გადასესხების პირობებზე (ყველა საკომისიოების და სხვა გადასახადების და ხარჯების ჩათვლით).

5. პროექტში მონაწილეობის მისაღებად უფლება-მოსილი ბენეფიციარები:

ა) უფლებამოსილი ბენეფიციარების რიცხვში შედიან იურიდიული ან ფიზიკური პირები (ერთობლივი საწარმოები, კოოპერატივები, ამხანაგოებები, ან ნებისმიერი სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირები), რომლებსაც გააჩნიათ ბიზნესგამოცდილება გარკვეულ სფეროში, ან აპირებენ განახორციელონ შესაბამისი საქმიანობა სოფლად;

ბ) ნებისმიერი იურიდიული პირი უნდა წარმოადგენდეს სამეწარმეო (კომერციული) იურიდიულ პირს. საწარმო კრედიტუნარიანი უნდა იყოს, უნდა გააჩნდეს დამაკმაყოფილებელი ფინანსური, ორგანიზაციული და მენეჯმენტის სტრუქტურა, კვალიფიციური პერსონალი; და გააჩნია აუცილებელი ფინანსური და სხვა რესურსები სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში დაფინანსებული საქმიანობებისა და ინვესტიციების განსახორციელებლად;

გ) ყველა შემოთავაზებულ ქვეპროექტს უნდა ახლდეს გარემოზე ზეგავლენის ანალიზი, შესრულებული „პროექტის საკრედიტო საქმიანობის გარემოს დაცვის მართვის გეგმისა და გარემოს დაცვის ინსტრუქციების“ მიხედვით, რომელიც დაამტკიცებს, რომ მოცემული ქვეპროექტი შეესაბამება გარემოს დაცვის ყველა დებულებას და მას არ ექნება უარყოფითი ზეგავლენა ბუნებაზე;

დ) საწარმოს უნდა გააჩნდეს სათანადო მფლობელობა და კომპეტენტური მენეჯმენტი, რომელსაც გააჩნია საწარმოს მართებული მართვის უნარი.

6. ქვეპროექტების შერჩევისა და შეფასების კრიტერიუმები. მონაწილე კომერციული ბანკის მოვალეობაა გამოავლინოს სავარაუდო ქვემსესხებლები და დაიცვას მეორად სესხზე ხელშეკრულებით და სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციებით დადგენილი კრიტერიუმები და პირობები ქვესესხების დაფინანსებისას. გარდა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული გარემოებებისა, პროექტით დასაშვები ინვესტიციისათვის მონაწილე კომერციულ ბანკს სრული ავტონომია ენიჭება ქვესესხების დამტკიცებაში.

7. ქვესესხების გასაცემად განაცხადების შეფასება განხორციელდება შემდეგი ინფორმაციისა და ანალიზის საფუძველზე:

ა) ფინანსური კრიტერიუმები:

ა.ა) რეალური ფინანსური უწყისების არსებობა მოგება-ზარალისა და საბალანსო უწყისების ჩათვლით;

ა.ბ) კრედიტუნარიანობის შეფასება;

ა.გ) გამართული ბიზნესი დადებითი ფულადი სახსრების მიმოქცევით სესხის მომსახურების შემდგომ;

ა.დ) საკუთარი სახსრებიდან შემოთავაზებული ქვეპროექტის ღირებულების მინიმუმ 20%-ის დაფინანსების უნარი;

ა.ე) ქვეპროექტის მოქმედების პერიოდში სესხის მომსახურების კოეფიციენტი უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 1.3-ს (წლიური დაანგარიშებით), რაც გამოითვლება ქვემსესხებლის მიერ დასაფარი ვალის საერთო ოდენობის საფუძველზე;

ა.ვ) ქვეპროექტის განხორციელების პერიოდში ქვემსესხებლის ვალდებულებების საკუთარ კაპიტალთან თანაფარდობა (ქვესესხის ჩათვლით) არ უნდა აღემატებოდეს 3:1-თან.

ბ) ბიზნეს-გეგმის კრიტერიუმები:

ბ.ა) შესაბამისი ორგანიზაციული და მართვის სტრუქტურა;

ბ.ბ) დასაფინანსებლად შემოთავაზებული ბიზნესის სფეროში ადეკვატური ტექნიკური შესაძლებლობა;

ბ.გ) ტექნიკურად განხორციელებადი წინადადება;

ბ.დ) კომერციულად სიცოცხლისუნარიანი წინადადება (შიდა უკუგების კოეფიციენტი (IRR) მიმდინარე ფასების მიმართ);

ბ.ე) საქმიანობის მასშტაბი (ადგილობრივი მასალების მისაწვდომობა და შემოთავაზებული ბაზრის მოცულობა);

ბ.ვ) დეტალური საინვესტიციო წინადადება (საინვესტიციო სესხის შემთხვევაში);

ბ.ზ) სათანადო სპეციფიკაცია და დიზაინი (საინვესტიციო სესხის შემთხვევაში);

ბ.თ) მიმდინარე ხარჯები (შემღებისდაგვარად დაფუძნებული კვოტებზე) (საინვესტიციო სესხის შემთხვევაში).

გ) ქვეპროექტის შეფასება ასევე უნდა ითვალისწინებდეს წინადადების ტექნიკურ განხორციელებადობას და ადასტურებდეს ქვეპროექტის ფინანსურ და ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას, რომ წინადადება შედგენილია შესაბამისი ჯანმრთელობის,

უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი სტანდარტების დაცვით, რაც სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. ქვესესიების შეფასების ფორმა წარმოდგენილია მე-2 დანართში.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2008 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი ბრძანება №698-№2-140-სსმIII, №135, 12.09.2008წ.; მუხ.1342*

### **მუხლი 6<sup>1</sup>. საკრედიტო ხაზი არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებებზე**

1. არასაბანკო ფინანსური დაწესებულებები საინვესტიციო და საბრუნავი კაპიტალით უზრუნველ-ყოფენ მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც დაკავებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით, გადამამუშავებითა და მარკეტინგით.

2. ერთ მსესხებელზე გაცემული ცალკეული სესხის მაქსიმალური ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25,000 აშშ დოლარის ეკვივალენტს, ან იმ თანხას, რომელსაც ითვალისწინებს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონი (ძალაში იქნება ის თანხა, რომელიც უფრო ნაკლებია).

3. 15,000 აშშ დოლარზე მეტი ოდენობის სესხები ექვემდებარება წინასწარ განხილვას PCC/PIU-ს მიერ.

4. NBFი-ები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ საკუთარ ვადებსა და პირობებს (საპროცენტო სარგებლის ჩათვლით) ქვესესიებისათვის საბაზრო მდგომარეობის საფუძველზე საუკეთესო კომერციული პრაქტიკის შესაბამისად და ასახავენ მათ მეორად სასესხო ხელშეკრულებებში. საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული იქნება არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების მიერ ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის რისკების შეფასების, ადმინისტრაციული ხარჯების და სხვა გადასახდელების გათვალისწინებით საფუძველზე. არასაბანკო ფინანსური დაწესებულება განსაზღვრავს გადასახდების საპროცენტო სარგებელს წლიურ საპროცენტო განაკვეთში (მაგალითად, ყველა გადასახ-დელისა და საკომისიოს ჩათვლით) და აცნობებს ქვემსესხებლებს. საპროცენტო სარგებელი არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებას ქვესესიებზე დაერიცხება ქვესესხის დაუბრუნებელი ძირითადი თანხის ნაშთი (კლებადი ნაშთი).

5. ქვემსესხებლის მიერ თანხების გადახდის პერიოდი დაეფუძნება ქვემსესხებლის დაგეგმილ ფულადი სახსრების ბრუნვის პერიოდს.

6. ქვემსესხებლები გადაიხდიან ქვესესხებს (ძირითადი თანხა და პროცენტი) იმ ვალუტაში, რომელშიც ის იქნა დენომინირებული. სესხება ერთ ვალუტაში და გადახდა მეორეში ნებადართული იქნება, თუ არასაბანკო ფინანსური დაწესებულება თავის თავზე აიღებს ასეთი ტრანზაქციების ვალუტის გაცვლის რისკთან დაკავშირებულ შედეგებს.

7. ნებადართული საქმიანობა მოიცავს შიდა სამეურნეო წარმოებას, დაფასოებას, დახარისხებას, ეფუთვას, სასოფლო-სამეურნეო საქონლის გაყიდვას და/ან სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების შექმნას და/ან წარმოებას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე მაცივრის ტიპის დასაწყობებას, აგროგადამამუშავებას და აგრობიზნესთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებს.

8. უფლებამოსილი ბენეფიციარი – საქართველოს მოქალაქე ან იურიდიული პირი, რომელიც ეწევა საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ საქმიანობას.

9. არასაბანკო ფინანსური დაწესებულება პასუხისმგებელი იქნება პერსპექტიული ქვემსესხებლების დადგენასა და მათ მიერ ქვესესიების ბენეფიციარების მონაწილეობის კრიტერიუმების დაცვაზე, რომლებიც მოცემულია მეორად სასესხო ხელშეკრულებასა და წინამდებარე ინსტრუქციებში. გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული შემთხვევებისა, არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებას ექნება სრული დამოუკიდებლობა ნებადართული ინვესტიციების დამტკიცებაზე. არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებას მოეთხოვება ქვემსესხებლების მიერ მომზადებული ქვეპროექტების შეფასება ასეთი სახის დაკრედიტებისა და სესხების მოცულობისათვის მისაღები პროცედურების შესაბამისად.

10. ქვეპროექტი უნდა იყოს ეკონომიკურად, ფინანსურად და ტექნიკურად განხორციელებადი. დაგეგმილი ფულადი სახსრების ბრუნვის საფუძველზე, იგი უნდა ავლენდეს ქვემსესხებლის შესაძლებლობას, კერძოდ, მოემსახუროს ქვესესხს არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებასა და ქვემსესხებელს შორის შეთანხმებული სესხის დაფარვის პირობების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილი ქვეპროექტი უნდა ითვალისწინებდეს სათანადო ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვით სტანდარტებს საქართველოს ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

11. ქვემსესხებელი ვალდებულია, გაიღოს თანამონაწილეობა ქვეპროექტის ხარჯების დაფინანსებაში საკუთარი რესურსებიდან ნაღდი ფულის ან ნატურის სახით, რაც უნდა შეადგენდეს ქვეპროექტის მთლიანი ხარჯების მინიმუმ 20%-ს. ქვემსესხებლის მიერ მიღებული გრანტები არ ჩაითვლება თანადაფი-ნანსების თანხაში. არასაბანკო ფინანსური დაწესებულება დაადასტურებს შესაბამისობას აღნიშნულ მოთხოვნასთან.

12. საკრედიტო ხაზიდან თანხების გადარიცხვა განხორციელდება მხოლოდ არასაბანკო ფინანსური დაწესებულების მიერ ბენეფიციარებზე ქვესესხების გაცემის მიზნით. რეფინანსირების მაქსიმალური დასაშვები ვადაა – 120 დღე. არასაბანკო ფინანსური დაწესებულების მიერ ქვესესხის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფისადმი ( PIU ) წარდგენამდე.

13. ქვესესხები ბენეფიციარებისთვის დენომინირებული და გადახდილი იქნება აშშ დოლარში, ლარებში ან ევროებში თითოეული ქვემსესხებლის მიერ არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებასთან ქვესესხის ხელშეკრულების ხელმოწერისას მიღებული გადაწყვეტილების თანახმად.

14. საკრედიტო ხაზიდან არ არის ნებადართული შემდეგი სახის დაფინანსება: ქვემსესხებლის არსებული დავალიანებების რეფინანსირება, აგრეთვე თამბაქოს, თამბაქოს პროდუქციისა და არალეგალური მედიკამენტების წარმოება, გადამუშავება და გაყიდვა.

15. არასაბანკო ფინანსური დაწესებულება პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს (PIU) წარუდგენს განსახილველად განაცხადს დანართი №2-ით მოცემული ფორმატის თანახმად, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- ა) ბენეფიციარის დახასიათებას;
- ბ) ინფორმაციას ქვეპროექტის შეფასების შესახებ;
- გ) ქვესესხის წარმოდგენილ ვადებსა და პირობებს; და

დ) ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რომელიც არასაბანკო ფინანსური დაწესებულების თვალსაზრისით საჭირო იქნება ქვეპროექტის წინადადების განსახილველად. პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC)/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი (PIU) იტოვებს უფლებას, მოსთხოვოს არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებას დამატებითი ახსნა-განმარტებების წარმოდგენა იმ შემთხვევაში, თუ განაცხადში მოცემული ინფორმაცია არ არის ადეკვატური გადაწყვეტილების მისაღებად.

16. არასაბანკო ფინანსური დაწესებულება თავის საბუღალტრო სისტემაში შეიმუშავებს სათანადო საბუღალტრო კოდებს პროექტის ფარგლებში გაცემული ქვესესხების იდენტიფიცირებისთვის. ქვესესხებისთვის უნდა გამოიყენებოდეს ცალკეული კოდები დენომინირებული ვალუტის მიხედვით. არასაბანკო ფინანსური დაწესებულება აუდირებული ფისკალური წლის დასრულებიდან მინიმუმ 18 თვის განმავლობაში შეინახავს ყველა ჩანაწერს, რომელიც უკავშირდება თითოეულ გაცემულ მეორად სესხსა და ქვესესხს.

17. არასაბანკო ფინანსური დაწესებულების მიერ წარმოებული ანგარიშები და ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტაცია ადეკვატური უნდა იყოს იმისთვის, რომ საფუძველიანი საბუღალტრო საქმიანობის შესაბამისად, ასახოს ოპერაციები, რესურსები და ხარჯები, რომლებიც უკავშირდება პროექტის ფარგლებში განხორციელებულ საკრედიტო ხაზის საქმიანობას.

18. მეორადი სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, არასაბანკო ფინანსური დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ მისი თითოეული ფინანსური წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შემდეგ გარე აუდიტორმა წარმოადგინოს პროექტთან დაკავშირებული ანგარიშებისა და ჩანაწერების აუდიტორული ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს აღნიშნული აუდიტორების

გამოყოფილ დასკვნას იმის შესახებ, რომ აღნიშნული ფინანსური წლის განმავლობაში წარმოდგენილი გახარჯვის უწყისები, მათი მომზადების პროცედურებისა და შიდა კონტროლის მექანიზმების ჩათვლით, საიმედოა საკრედიტო ხაზიდან გახარჯვების წარმოების თვალსაზრისით.

19. ქვეპროექტის შეფასების დროს, არასაბანკო ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს (საჭიროების შემთხვევაში) პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ქვეპროექტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან და სოფლის განვითარების პროექტის დაკრედიტების კომპონენტის გარემოსდაცვით სახელმძღვანელოსთან. ყველა სათანადო დოკუმენტი და ნებართვა უნდა ინახებოდეს არასაბანკო ფინანსური დაწესებულების მიერ წარმოებულ თითოეული ბენეფიციარის ქვესესხის დოკუმენტაციის ფაილში და ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროექტების საკოორდინაციო ცენტრის (PCC)/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU), IDA-ს წარმომადგენლებისა და არასაბანკო ფინანსური დაწესებულების აუდიტორებისთვის და საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროებისათვის.

20. არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებასა და ბენეფიციარებს შორის გაფორმებული ყველა ქვესესხის ხელშეკრულება, სხვა პირობებთან ერთად, უნდა მოიცავდეს შემდეგ დებულებებს არასაბანკო ფინანსური დაწესებულების, საქართველოს მთავრობისა და IDA -ს ინტერესების დასაცავად, კერძოდ:

ა) ეფექტურად და სათანადო გულმოდგინებით განახორციელოს ქვეპროექტი აუცილებელი ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური, გარემოსდაცვითი და კომერციული გამოცდილების გამოყენებით; აწარმოოს შესაბამისი დოკუმენტაცია და დასახული მიზნის მისაღწევად, საჭიროებისამებრ, უზრუნველყოს შესაბამისი ფონდების, მოწყობილობებისა და სხვა რესურსების დროული გამოყენება;

ბ) დაუშვას არასაბანკო ფინანსური დაწესებულების უფლებამოსილი წარმომადგენლები, დამოუკიდებლად ან IDA-სა და პროექტების საკოორდინაციო ცენტრის (PCC)/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) წარმომადგენლებთან ერთად ქვეპროექტით გათვალისწინებული ყველა სახის საქმიანობის (საქონელი, ტერიტორია, სამუშაოები, გეგმები და მშენებლობები) და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი შესაბამისი დოკუმენტაციისა და ჩანაწერების შესამოწმებლად;

გ) საჭიროებისას და შესაძლებლობის ფარგლებში, დააზღვიოს შესაბამისი რისკების მიმართ შესაბამის თანხებში, მიღებული ბიზნეს პრაქტიკის გათვალისწინებით. აღნიშნული შეეხება ქვესესხის სახსრებით დაფინანსებული საქონლის შეძენას, ტრანსპორტი-რებასა და გამოყენების ან მონტაჟის ადგილამდე მიწოდებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს; ბენეფიციარისათვის გადახდა (საქონლის შესაკეთებლად ან შესაცვლელად) განხორციელდება მისთვის ხელსაყ-რელ ვალუტაში;

დ) პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ( PCC)/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (PIU) და, საჭიროების შემთხვევაში, IDA-ს, სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროებს მიაწოდოს მათ მიერ გონივრულობის ფარგლებში ინფორმაცია ქვე-მსესხებლის ადმინისტრაციული, საოპერაციო და ფინანსური მდგომარეობის, ასევე ქვეპროექტის განხორციელებით მიღებული სარგებელის თაობაზე.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2008 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი ბრძანება №698-№2-140-სსმIII, №135, 12.09.2008წ.; მუხ.1342*

## **მუხლი 7. სოფლის განვითარების პროექტის ყველა ქვესესხისა და ქვესესხების ხელშეკრულებებისთვის მისაღები ძირითადი პირობები**

### **1. დაფინანსებისათვის მისაღები საქმიანობები:**

ა) პროექტის ფარგლებში დაფინანსებისათვის მისაღები საქმიანობები ითვალისწინებს ყველა იმ ინვესტიციას, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაზრდას (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, საკვების და საქონლის ხარისხის, წარმოება და/ან ყიდვა/გაყიდვის მოცულობის გაზრდას). პირველადი ფერმერული წარმოების გარდა (მარცვლეული, პირუტყვი,

ხილი, ბოსტნეული, ვენახი და სხვა) ნებადართული საქმიანობები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) აგრო-გადამუშავებას; ინვესტირებას დახარისხება, დაკალიბრება და შეფუთვაში; ჩვეულებრივი და მაცივრის პირობებში შენახვას; სასოფლო-სამეურნეო საქონლის მარკეტინგს; სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელი მასალების (აგროქიმიკატები, თესვები, მანქანები, ტექნიკა, და სხვა) წარმოებასა და მიწოდებას ან სხვა საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია აგრობიზნესთან, მომსახურების რეკლამირების ჩათვლით. პროექტი უპირატესობას მიანიჭებს სესხების გაცემას უკვე არსებული საქმიანობების დასაფინანსებლად;

ბ) დაფინანსებულმა ქვეპროექტმა უნდა გამოამჟღავნოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ზეგავლენა სოფლად სიღარიბის დაძლევაზე (ე.ი. ცხოვრების დონის გაუმჯობესება სოფლად შემოსავლიანი საქმიანობების წამოწყებისა და დაფინანსების საშუალებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, დასაქმების, საშუალო ხელფასის გაზრდა და სხვ.).

2. დაფინანსებისათვის მიუღებელი საქმიანობები. საკრედიტო ხაზიდან დაფინანსებას კომერციული ბანკების მიერ არ დაექვემდებარება შემდეგი საქმიანობები: საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ან შეკეთება, ნებისმიერი არსებული ვალის რეფინანსირება, თამბაქოსა და თამბაქოს პროდუქტების წარმოება, დამუშავება და გასაღება.

3. ქვემსესხებელის თანამონაწილეობა. ქვემსესხებლებს საკუთარი სახსრებიდან მოეთხოვებათ ქვეპროექტის ხარჯების თანადაფინანსების უზრუნველყოფა ნაღდი თანხით ან ნატურით, რაც ქვეპროექტის საერთო ღირებულების 20%-ზე ნაკლებს არ უნდა შეადგენდეს. საწარმოს მიერ მიღებული გრანტები არ ჩაითვლება თანადაფინანსების თანხაში. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება დამოწმდება მონაწილე ფინანსური დაწესებულების მიერ და შემოწმდება პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია მონაწილე ფინანსური ინსტიტუტებისა და საკრედიტო ხაზის ზედამხედველობაზე.

4. ქვესესხების ვალუტის შერჩევა. ქვემსესხებლებზე ქვესესხების გაცემა და მათი დაფარვა იწარმოებს იმ ვალუტაში, როგორც ეს განისაზღვრება ცალკეული ქვემსესხებლის შემთხვევაში მონაწილე ფინანსური დაწესებულების მიერ ქვემსესხებელთან ქვესესხის ხელშეკრულების ხელმოწერის დროს.

5. „ქვესესხის თავისუფალი ლიმიტის“ ზემოთ ქვესესხების დამტკიცების პროცედურები. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის განსახილველად და IDA-თვის წარსადგენად მონაწილე ფინანსური დაწესებულება წარადგენს შემაჯამებელ ანგარიშს (დანართი №2-ს თანახმად), რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) ქვემსესხებლის დახასიათებას ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად;

ბ) ინფორმაციას ქვეპროექტის შეფასების შესახებ, საკრედიტო ხაზიდან დასაფინანსებლად წარსადგენი ხარჯების დეტალური აღწერით;

გ) ქვესესხის ვადებსა და პირობებს; და

დ) ნებისმიერ დამატებით ინფორმაციას, რომელსაც მონაწილე ფინანსური დაწესებულება მიიჩნევს საჭიროდ ქვეპროექტზე წარდგენილი წინადადების განსახილველად. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი და IDA უფლებას იტოვებენ თხოვნით მიმართონ მონაწილე ფინანსურ დაწესებულებას დამატებითი განმარტებებისა და დასაბუთებების წარსადგენად იმ შემთხვევაში, თუ შემაჯამებელ ანგარიშში წარმოდგენილი მასალა არ იქნება საკმარისი გადაწყვეტილების მისაღებად.

6. ქვეპროექტის შესახებ ინფორმაციული ცხრილი. ყოველ დამტკიცებულ ქვეპროექტზე მონაწილე ფინანსური დაწესებულება შეავსებს ქვეპროექტის შესახებ ინფორმაციულ ცხრილს (შევსებული მე-2 დანართში მოცემულ ფორმატის მიხედვით), რომლის ასლი წარედგინება პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს, საკრედიტო ხაზიდან თანხების გახარჯვის თაობაზე მოთხოვნის წარდგენამდე. აღნიშნული ქვეპროექტის შესახებ მონაცემების ცხრილის ერთი ასლი შენახულ იქნება მონაწილე ფინანსური დაწესებულების მიერ სათავო ოფისში პროექტისათვის განკუთვნილ დოკუმენტაციაში (ფაილში), მეორე ასლი ინახება ქვემსესხებლის საკრედიტო ფაილში

კომერციული ბანკის იმ ფილიალში, რომელიც პასუხისმგებელია ქვესესხის მომსახურებაზე, ხოლო ერთი ასლი კი – პროექტის განმახორციელებელ ჯგუფში.

7. ანგარიშები და აღრიცხვა. მონაწილე ფინანსურმა დაწესებულებამ საკუთარ საბუღალტრო სისტემაში უნდა შეიმუშაოს შესაბამისი საბუღალტრო კოდები, რითაც მოხდება პროექტის ფარგლებში გაცემული ქვესესხების იდენტიფიკაცია. ქვესესხების ვალუტის შესაბამისად აუცილებელია ცალკეული კოდების გამოყენება. მას შემდეგ, რაც IDA და IFAD მიიღებენ აუდიტორულ ანგარიშს იმ ფისკალური წლისთვის, რომლის პერიოდშიც განხორციელდა სესხის ბოლო გამოტანა საკრედიტო ხაზის ანგარიშიდან, მონაწილე ფინანსურმა დაწესებულებამ სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში ვალდებულია შეინახოს მეორად სესხებსა და ქვესესხებთან დაკავშირებული ყველა ის ჩანაწერები, რომლებიც მონაწილე ფინანსურმა დაწესებულებამ გასცა, ანგარიშების, კონტრაქტების, ბრძანებების, ფაქტურების, ჩეკების, ქვითრების და სხვა დოკუმენტების ჩათვლით, რომლებიც ადასტურებენ ქვესესხის ხარჯებს.

8. აუდიტი. მონაწილე ფინანსური დაწესებულების მიერ წარმოებული ანგარიშები და სხვა დამატებითი ჩანაწერები ადეკვატურად უნდა იყოს წარმოებული აღრიცხვის მიღებული პრინციპების შესაბამისად, პროექტის ფარგლებში საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად (ოპერაციები, რესურსები, ხარჯები და სხვა).

9. მეორადი სასესხო ხელშეკრულების ვადებისა და პირობების შესაბამისად, მონაწილე ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი წლიური ფინანსური აუდიტის დროს გარე აუდიტორებმა ცალკე აუდიტორული ანგარიში წარმოადგინონ პროექტთან დაკავშირებული ანგარიშებისა და დოკუმენტაციის შესახებ.

10. გარემოს დაცვის სტანდარტები. ქვეპროექტის შეფასების დროს მონაწილე ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ კომერციული ბანკებისათვის დასაფინანსებლად წარმოდგენილი ქვეპროექტები შეესაბამება საქართველოში მოქმედ გარემოს დაცვით კანონმდებლობასა და სტანდარტებს, რაც დადასტურებული იქნება საქართველოს შესაბამისი ადგილობრივი ან ეროვნული ორგანოების მიერ და პროექტის „სოფლის ფინანსური მომსახურების“ კომპონენტის გარემოს დაცვის ინსტრუქციებს. ყოველი შესაბამისი დოკუმენტი და ნებართვა უნდა ინახებოდეს მონაწილე ფინანსური დაწესებულებაში არსებული თითოეული ქვემსესხებელის დოკუმენტაციის ფაილში და ხელმისაწვდომი იყოს პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის, IDA-ის წარმომადგენლებისა და მონაწილე ფინანსური დაწესებულების გარე აუდიტორებისთვის.

11. კომერციული ბანკის, საქართველოს მთავრობის, IDA-ის და IFAD-ის ინტერესების დაცვის მიზნით, კომერციულ ბანკსა და ქვემსესხებლებს შორის გაფორმებული ყველა ქვესესხის ხელშეკრულება სხვა პირობებთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს ქვემოთ მოცემულ პირობებს. ქვემსესხებლებს მოეთხოვება:

ა) სათანადო ძალისხმევითა და ნაყოფიერებით განახორციელონ ქვეპროექტი აუცილებელი ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური, გარემოსდაცვითი და კომერციული გამოცდილების გამოყენებით; უზრუნველყოს ადეკვატური დოკუმენტაციის წარმოება და დასახული მიზნის მისაღწევად ფონდებით, მოწყობილობით და სხვა რესურსებით საჭიროებისამებრ სწრაფი უზრუნველყოფა;

ბ) ნება დართოს კომერციული ბანკის უფლებამოსილ წარმომადგენლებს დამოუკიდებლად ან IDA-ს და პროექტის განმახორციელებელი წარმომადგენლებთან ერთად შეამოწმონ ქვეპროექტით გათვალისწინებული საქონელი, ტერიტორია, სამუშაოები, გეგმები და მშენებლობები, მათთან დაკავშირებული ოპერაციები და ნებისმიერი შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩანაწერები;

გ) უზრუნველყოს კომერციული ბანკი და პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი ყველა იმ ინფორმაციით, რომლის მოთხოვნაც მიზანშეწონილია და შეეხება ქვემსესხებელის ადმინისტრაციულ, საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობას, ასევე ქვეპროექტის განხორციელებით მისაღებ სარგებელს;

დ) მონაწილე ფინანსური დაწესებულება უფლებას იტოვებს შეუწყვიტოს ქვემსესხებელს უფლება ქვემსესხის სახსრების გამოყენებაზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს მონაწილე ფინანსურ დაწესებულებასთან გაფორმებული ქვემსესხის ხელშეკრულების ფარგლებში.

### **მუხლი 8. მონაწილე კომერციული ბანკების ანგარიშგების მოთხოვნები, პროექტის მონიტორინგი და ზედამხედველობა**

1. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი პასუხისმგებელია პროექტის საკრედიტო ხაზის განხორციელების ყოველდღიურ ზედამხედველობასა და მონიტორინგზე, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოაზრებული ბენეფიციარები რეალურად იღებენ დახმარებას. ეს ითვალისწინებს ქვეპროექტებში ვიზიტს და ქვემსესხებლებთან შეხვედრებს, წინასწარ დაგეგმილ დროს და კომერციულ ბანკთან წინასწარი შეთანხმებით.

2. მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის, მე-7 მუხლის მე-6, მე-9 და მე-10 პუნქტების თანახმად, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფისათვის მიწოდებულ ინფორმაციასთან ერთად, მონაწილე კომერციული ბანკები ვალდებული იქნებიან პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს წარუდგინონ პერიოდული ანგარიშები გაწეულ საქმიანობაზე შემოთავაზებული ფორმატის მიხედვით. ზემოაღნიშნული საბუღალტრო კოდები, საბალანსო კოდები მინიჭებული მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს პროექტის საქმიანობის განხორციელების და სხვა ანგარიშებისათვის და პროექტის ფარგლებში დაფინანსებული სასესხო ოპერაციების მონიტორინგისათვის აუცილებელი ფინანსური ინფორმაციის მომზადებას.

3. მონაწილე კომერციული ბანკებისთვის ანგარიშგება და მათი მონიტორინგი:

მონაწილე კომერციულმა ბანკებმა პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს უნდა წარუდგინონ შემდეგი ინფორმაცია:

ა) არააუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება PCC/PIU-ს მიერ დადგენილ ელექტრონულ ფორმატში – ყოველი კვარტალის დასრულებიდან არა უგვიანეს 30-ე დღისა;

ბ) აუდიტირებული წლიური ფინანსური უწყისების დამოწმებული ასლები, რომლებიც შემოწმებულია მე-4 მუხლის მოთხოვნების თანახმად და აუდიტორების მიერ მიწოდებული წერილი კომერციული ბანკის მენეჯმენტისადმი – („Management letter“) – ყოველი ფინანსური წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 120 დღის განმავლობაში;

გ) საკრედიტო ხაზით დაფინანსებული სასესხო პორტფელის ვადაგადაცილების კლასიფიკაცია – ოველი კვარტლის დასრულებიდან არა უგვიანეს 30-ე დღისა;

დ) ამონაწერი პროექტის საბრუნავი ანგარიშებიდან ყოველი თვის დასრულებიდან არა უგვიანეს მე-10 დღისა;

ე) ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რაც დასაბუთებულად იქნება მოთხოვილი IDA-ს, IFAD-ის და პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ.

4. პროექტში მონაწილეობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის მონიტორინგი პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ განხორციელდება მუდმივად გახარჯებისა და მონაწილე კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი კვარტალური, წლიური და სხვა პერიოდულად მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით. აუცილებლობის შემთხვევაში, ამ შეფასებას შესაძლებელია დაემატოს საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული ინფორმაცია.

5. მონაწილე კომერციული ბანკების მიერ საბოლოო ბენეფიციარებზე გაცემული ქვემსესხების მონიტორინგი

საკრედიტო ხაზით სარგებლობისათვის მონაწილე კომერციული ბანკები მუდმივად უნდა აკმაყოფილებდნენ პროექტში მონაწილეობის კრიტერიუმებს. ამ კრიტერიუმებთან შესაბამისობას მონიტორინგი გაეწევა შემდეგი სახით:

ა) კომერციული ბანკი დაასახელებს მის უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საკრედიტო ხაზის მართვასა და ზედამხედველობაზე, ისევე როგორც პროექტის წინაშე ანგარიშის წარდგენასა და თანამშრომლობაზე;

ბ) არა უგვიანეს ქვესესხზე სასესხო ხელშეკრულების გაფორმების დღიდან, მონაწილე კომერციული ბანკი ვალდებულია გახსნას სრულყოფილი საკრედიტო ფაილი ქვესესხზე, რომელშიც თავმოყრილი იქნება მთელი გარე და შიდა კორესპონდენცია, ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია და ქვესესხის რისკის ანალიზისა და ფინანსური გათვლების საბოლოო ვარიანტები;

გ) მონაწილე კომერციული ბანკი საკრედიტო ფაილში შეინახავს თანხის გამოყოფაზე განაცხადების ყველა ასლს, განაცხადთან თანმხლები სხვა დოკუმენტების ასლებს, ქვითრებსა და მონიტორინგის ანგარიშებს;

დ) მონაწილე კომერციული ბანკი რეგულარულ ფინანსურ ინფორმაციას მოიპოვებს ქვემსესხებლისგან (კვარტალური საბალანსო უწყისები, მოგება-ზარა-ლის უწყისები და ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისების ჩათვლით);

ე) მონაწილე კომერციული ბანკი პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს კვარტალურად წარუდგენს ყველა დაფინანსებული ქვეპროექტის მიხედვით გაწეული ხარჯების ჩამონათვალს მე-3 დანართში წარმოდგენილი ფორმატის მიხედვით. აღნიშნული ხარჯთაღრიცხვა შეაჯამებს შესაბამისი ქვეპროექტის ფარგლებში გაწეულ ხარჯებს, რაც იქნება სათანადოდ დამოწმებული ხელმოწერით, და ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ხარჯები ნებადართულია კომერციული ბანკის მიერ. პროექტის განხორციელების პერიოდში მონაწილე კომერციული ბანკის მიერ ქვეპროექტებთან დაკავშირებული გაწეული ხარჯების ჩამონათვალში მითითებული ხარჯების დამადასტურებელი (თანმხლები) დოკუმენტაცია (ანგარიშ-ფაქტურები, ქვითრების, და ა.შ.) შენახულ უნდა იქნეს ქვეპროექტების სათანადო ფაილებში;

ვ) მონაწილე კომერციული ბანკი კვარტალურ ანგარიშებს წარუდგენს პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს საკრედიტო ხაზთან დაკავშირებულ სასესხო საქმიანობებზე. ყოველი კვარტალური ანგარიში უნდა შეიცავდეს გასული კვარტალის განმავლობაში დამტკიცებული ყველა სასესხო განაცხადის ჩამონათვალს შემდეგი დეტალებითურთ: მსესხებლის დასახელება და მისამართი, მოთხოვნილი და დამტკიცებული თანხის რაოდენობა, სესხის დანიშნულება, დასაფინანსებელი პროექტის ადგილმდებარეობა, სასესხო და საგირავნო ხელშეკრულებების ნომრები და თარიღები;

ზ) ყოველ დამტკიცებულ სესხზე წარმოდგენილი ანგარიში უნდა აღნიშნავდეს სესხის დაფარვის მიმდინარე მდგომარეობას (ძირითადი თანხა და საპროცენტო სარგებელი). ვადაგადაცილების შემთხვევაში ანგარიში უნდა ითვალისწინებდეს ვადაგადაცილებული თანხის ოდენობას, ვადაგადაცილებული დღეების რიცხვს და პრობლემის გადასაჭრელად გატარებულ ღონისძიებებს. ამ ანგარიშის საფუძველზე პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი შეაფასებს, თუ რამდენად შეესაბამება სასესხო საქმიანობა პროექტის წინაშე დასახულ მიზნებს და მონაწილე კომერციული ბანკის პროექტის სასესხო პორტფელის მდგომარეობას;

თ) სასესხო და გირავნობის ხელშეკრულებების ასლები, იმ ქვესესხებზე, რომლებიც დამტკიცებული და დაფინანსებულია მონაწილე კომერციული ბანკის მიერ კვარტალის განმავლობაში ასევე წარედგინება პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს კვარტალურ ანგარიშებთან ერთად და თან დაერთვება მე-4 დანართში წარმოდგენილი ფორმატის მიხედვით შედგენილი წერილი;

ი) მონაწილე კომერციული ბანკი აგრეთვე წარუდგენს პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს პროექტის საკრედიტო ხაზით დაფინანსებულ აგრეგირებულ სასესხო პორტფელზე კვარტალურ ანგარიშს, დანართი №5-ში მითითებული ფორმატით;

კ) პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი ასევე შეხვდება კომერციული ბანკის უფლებამოსილ წარმო-მადგენელს, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის საკრედიტო ხაზის საქმიანობაზე, რომელთანაც განიხილავს საქმიანობის პროგრესს და სხვა შესაბამის საკითხებს;

ლ) მსოფლიო ბანკისა და IFAD-ის მხრიდან პროექტის მართვის ჯგუფის საზედამხედველო მისიების პერიოდში აგრეთვე შემოწმებული იქნება სასესხო პროცედურები და არსებული ქვესესხების სტატუსი, რაც ითვალისწინებს პროექტის ქვემსესხებლებთან შეხვედრებს, მონაწილე კომერციულ ბანკებთან კოორდინაციაში.

6. კომერციული ბანკისთვის მონაწილე ფინანსური ინსტიტუტის სტატუსის დროებითი შეჩერება და პროექტიდან გარიცხვა

მონაწილე კომერციული ბანკის მონაწილეობა პროექტში იქნება შეჩერებული და კომერციული ბანკი დაკარგავს პროექტის საკრედიტო ხაზის სახსრებით სარგებლობის უფლებას მომავალი საქმიანობების განსახორციელებლად ქვემოთ მოცემულ ნებისმიერ ან ყველა შემთხვევაში. პროექტში მონაწილეობა შესაძლებელია აღდგეს იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ განსაზღვრულ ვადაში შესაბამისი პრობლემები მოგვარებული იქნება კომერციული ბანკის მიერ:

ა) თუ კომერციული ბანკი შემჩნეული იქნება საკრედიტო ხაზის რესურსების ისეთ გამოყენებაში, რომელიც პროექტის წინაშე დასახულ მიზნებს არ შეესაბამება, ან არ იცავს მსოფლიო ბანკის და IFAD-ის პროცედურებს, კომერციული ბანკი ვალდებულია აღნიშნული დარღვევები გამოასწოროს პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ დადგენილ ვადაში. პროექტის, მსოფლიო ბანკის ან IFAD-ის პროცედურებთან შეუსაბამობა სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებსაც: საკრედიტო ხაზის გამოყენება არანებადართული საქმიანობების ან მსესხებლების დასაფინანსებლად, ქვესესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაუცველობა, პროექტის ბენეფიციარების ექსპლოატაცია ზედმეტი ან უმართებულო გადასახადების დაკისრებით; და დაგვიანებული ან არასათანადო ანგარიშგება პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წინაშე, ან მე-7 მუხლის მე-6, მე-9 და მე-10, მე-8 მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებში მოცემული ნებისმიერი მოთხოვნების დარღვევა. ყოველთვიურად განხორციელდება მონიტორინგი მონაწილე კომერციული ბანკის მიერ დარღვევების გამოსწორებაზე, ხოლო ზემოაღნიშნული ვადის დაუცველობის შემთხვევაში მონაწილე კომერციული ბანკი გარიცხული იქნება პროექტიდან და ვალდებული იქნება პროექტის საბრუნავი ფონდის ანგარიშზე დააბრუნოს მსოფლიო ბანკის და IFAD-ის პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ყველა ის თანხა, რომელიც არასათანადოდ იქნა გამოყენებული;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკი შეინიშნება დადგენილი სავალდებულო ნორმატივების ან პროექტის სხვა მოთხოვნილებების დარღვევაში, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი ამის თაობაზე აცნობებს ფინანსთა სამინისტროს, მსოფლიო ბანკის მხრიდან პროექტის ხელმძღვანელს და IFAD-ის მხრიდან ქვეყნის პროგრამის ხელმძღვანელს და წარუდგენს მათ სრულ ინფორმაციას ასეთი დარღვევის დონესა და შინაარსზე. PCC/PIU-ს მიერ სავალდებულო ნორმატივების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კომერციული ბანკის მონაწილეობა პროექტში იქნება შეჩერებული და ბანკს მოეთხოვება არსებული დარღვევების განსაზღვრულ ვადაში გამოსწორება. ყოველთვიურად განხორციელდება მონიტორინგი მონაწილე კომერციული ბანკის მიერ დარღვევების გამოსწორებაზე. შეთანხმებული ვადის დაუცველობის შემთხვევაში მონაწილე კომერციულ ბანკს მოეთხოვება პროექტის საბრუნავი ფონდის ანგარიშზე მსოფლიო ბანკის და IFAD-ის საკრედიტო ხაზის ფარგლებში არსებული მთლიანი მეორადი სესხის თანხის დაბრუნება.

გ) (ამოღებულია);

დ) თუ მონაწილე კომერციული ბანკი ვერ შეძლებს ზემოაღნიშნულ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში მეორადი სესხის თანხის დაფარვას, ძალაში შედის „უფლებების დათმობის ხელშეკრულება“, რომელიც წარმოადგენს მეორად სესხზე ხელშეკრულების ნაწილს;

ე) მონაწილე კომერციული ბანკის პროექტის საკრედიტო ხაზში მონაწილეობის შეჩერებასთან, პროექტში მონაწილეობის აღდგენასთან ან პროექტიდან გარიცხვასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება მიღებული იქნება პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ, ფინანსთა სამინისტროსთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს ეროვნულ ბანკთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ, და ასევე იგი ექვემდებარება მსოფლიო ბანკის პროექტის ხელმძღვანელის და IFAD-ის ქვეყნის პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან შესაბამის თანხმობას. მსოფლიო ბანკი/IFAD-იდან პასუხის მიღებისთანავე პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი ფინანსთა სამინისტროს აცნობებს მონაწილე კომერციული ბანკის მიმართ გამოსაყენებელი სანქციის თაობაზე.

7. კომერციული ბანკების საკრედიტო ხაზის ფარგლებში პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიმართ ანგარიშგების მოთხოვნები

ყველა სათანადო ინფორმაციის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი მსოფლიო ბანკის პროექტის ხელმძღვანელს, IFAD-ის მხრიდან ქვეყნის პროგრამის ხელმძღვანელს, ფინანსთა სამინისტროს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგენს კვარტალურ ანგარიშებს მონაწილე კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის ესახებ და აგრეთვე სავალდებულო ნორმატივებისა და პროექტში მონაწილეობის კრიტერიუმების დარღვევის თაობაზე, თუ არის ასეთი. აღნიშნულ ანგარიშს დაერთვება კომერციული ბანკის პროექტთან დაკავშირებული სასესხო საქმიანობების ამსახველი კვარტალური ანგარიშები. ნებისმიერი პრობლემის წარმოჩენის შემთხვევაში, პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს ევალება დაახასიათოს ეს პრობლემები, ისევე როგორც მათ გადასაჭრელად გატარებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2008 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი ბრძანება №698-№2-140-სსმIII, №135, 12.09.2008წ.; მუხ.1342*

*საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 26 აპრილის ერთობლივი ბრძანება №251- №2-64, ვებგვერდი, 27.04.2011 წ.*

### **მუხლი 8<sup>1</sup>. მოთხოვნები მონაწილე არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების ანგარიშგების მიმართ, პროექტის მხრიდან მონიტორინგი და ზედამხედველობა**

1. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი (PIU) პასუხისმგებელი იქნება პროექტის საკრედიტო ხაზის განხორციელების ყოველდღიურ ზედამხედველობასა და მონიტორინგზე იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოაზრებული ბენეფიციარები რეალურად იღებენ დახმარებას. ეს ითვალისწინებს ქვეპროექტებში ვიზიტებს და ქვემსესხებლებთან შეხვედრებს პროექტების საკოორდინაციო ცენტრისათვის (PCC)/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფისათვის (PIU) მისაღები ფორმით და დროს არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებასთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

2. არასაბანკო ფინანსური დაწესებულების ზედამხედველობა. პროექტში მონაწილეობისათვის შერჩეული არასაბანკო ფინანსური დაწესებულებები ნებისმიერ დროს უნდა აკმაყოფილებდნენ პროექტის მიერ დადგენილ ფინანსური მდგრადობის ზოგად კრიტერიუმებს. არასაბანკო ფინანსურმა დაწესებულებამ პროექტების საკოორდინაციო ცენტრს (PCC)/პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს (PIU) უნდა წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სტანდარტული ყოველთვიური ანგარიში ყოველი თვის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 დღის შემდეგ:

ა.ა) არასაბანკო ფინანსური დაწესებულების განხორციელების ზოგადი მაჩვენებლები საერთო ჯამში (დანართი №7);

ა.ბ) პროექტის განხორციელების კონკრეტული მაჩვენებლები (დანართი 8);

ა.გ) სასესხო პორტფელის სტრუქტურა გადახდის პერიოდის, მოცულობებისა და საპროცენტი სარგებლის მიხედვით (დანართი №9);

ა.დ) პორტფელის სტატუსი და ხანდაზმულობის ანგარიში პროექტის ქვემსესხებისთვის ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებების მითითებით პრობლე-მური ქვემსესხებისთვის;

ა.ე) არააუდირებული ყოველთვიური ფინანსური ანგარიშგება;

ა.ვ) საბრუნავი ანგარიშის ნაშთის უწყისი (თითოეული ვალუტისთვის);

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად, აუდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების დამოწმებული ასლები და აუდიტორების მიერ წარმოდგენილი მენეჯმენტის წერილი არა უგვიანეს 6 თვისა ყოველი ფინანსური წლის დასრულების შემდეგ;

გ) ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია, რომელსაც დასაბუთებულად მოითხოვს IDA და პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC)/პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი (PIU).

3. არასაბანკო ფინანსური დაწესებულების მიერ საბოლოო ბენეფიციარზე გაცემული ქვემსესხების ზედამხედველობა (მონიტორინგი). საკრედიტო ხაზით სარგებლობისათვის შერჩეული არასაბანკო

ფინანსური დაწესებულებები მუდმივად უნდა აკმაყოფილებდნენ პროექტში მონაწილეობის კრიტერიუმებს. ამ კრიტერიუმებთან შესაბამისობის მონიტორინგი შემდეგი სახით განხორციელდება:

